მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა ხელთ.

დან. 7,14. მათ. 28,18

მხარდაჭერა

ეუთოს მისია ადასტურებს, რომ აუცილებელია პრეზიდენტის არჩევნების გამართვა

11 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე მეთვალყურეთა მისიის ახალი ხელმძღვანელი კრეიგ იენესი.

საუბრის ძირითადი თემა იყო მომავალი პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. იენესმა განაცხადა, რომ ეუთოს მისიას, რომელიც საქართველოში სექტემბერში დაიწყო, არ შეუწყვეტია მუშაობა და კვლავაც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. რაც შეეხება საარჩევნო სიებს, იენესის თქმით, ეუთოს მისია პირადად შეხვდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილს, შეისწავლის ამ საკითხს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, თუ რამდენად სწორად იქნება მომზადებული არჩევნებისთვის საარჩევნო სიები.

ეუთოს მისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აუცილებელია პრეზიდენტის არჩევნების გამართვა.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური.

გუშინ

საუბარი ირანის ელჩთან

11 დეკემბერს სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ სახელმწიფო კანცელარიაში მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰოსეინ ამინიან თუსი.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

ჟურნალისტებთან საუბრისას ირანელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ილაპარაკეს საქართველოსთვის გარკვეული დახმარებების შესახებ.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური.

ევროკავშირი

მხარს უჭერენ საქართველოს დროებით ხელმძღვანელობას



ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის ზოგადი პოლიტიკის საბჭოს სხდომაზე განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს დროებით პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

როგორც სხდომის შედეგების მიხედვით მიღებულ დოკუმენტშია აღნიშნული, რომელიც ევროკავშირის საბჭოს მთავარმა სამდივნომ გაავრცელა, საგარეო საქმეთა სამინისტროების მეთაურებმა მოუწოდეს საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას, უზრუნველყონ მშვიდი ატმოსფერო საზოგადოებაში რიგგარეშე პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების წინ, აგრეთვე, ისურვეს, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს, ხოლო ყველა პოლიტიკური ცვლილება მიმდინარეობდეს კონსტიტუციის ფარგლებში.

მინისტრებმა დაადასტურეს, რომ ევროკავშირი მზად არის გაუწიოს „მნიშვნელოვანი დახმარება საქართველოს არჩევნების მოწყობისათვის მზადებაში, აგრეთვე, ხელი შეუწყოს მას რთული გარდამავალი პოლიტიკური პერიოდის დაძლევაში“. ამასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვა ევროკავშირის დელეგაცია სამხრეთ კავკასიის საკითხებში სპეციალური თავმჯდომარის მეთაურობით.

საქინფორმი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №334 (4713) პარასკევი, 12 დეკემბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

ჩვენ

ყველა თავის ლოცვას იცყვის

როგორ ჰგავს ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ მიმართული ამ ბოლო დღეების ორიოდ პუბლიკაცია იმ „მამხილებელ“ განცხადებებს, რომელთა ავტორებს ადრე იმდენი სინდისი მაინც ჰქონდათ, საკუთარ გვარს არ აწერდნენ ცილისმწამებლურ ოპუსებს.

„ანონიმშჩიკობა“ დედის გინებაზე უარესი იყო.

ახლა აწერენ.

გაზეთშიც აქვეყნებენ და ჟურნალისტობასაც ისე იბრალებენ, როგორც ცრუდიმიტრები „სამოდერჟეცობას“.

აქვთ გასავალი და – აქვეყნებენ, რადგან შემოსავალიც აქვთ.

ჯერ კიდევ.

წერონ და – იკითხონ, ვისაც ეხალისება.

მე კი ჩვენს ინტელექტუალურ საზოგადოებრიობას მივმართავ, რომელსაც მაღალი მატერიის მიწიერ რეალობასთან დაკავშირება არ გაუჭირდება.

დაე, მან განსაჯოს, სწორია თუ არა ჩვენი გაზეთის ზნეობრივი პოზიცია და მრწამსი.

იხ. მე-2 გვ.

აქტუალური თემა

სავიზო რეჟიმი ყაზბეგშიც გამარტივებულია

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.

– ბატონო ზურაბ, ცენტრსა და რეგიონს შორის დიალოგისკენ ნაბიჯი გადაიდგა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე და აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ აჭარამ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ამ საკითხზე შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს. შეძლებს ნინო ბურჯანაძე, რომ ასლან აბაშიძეს საბოლოოდ პრეზიდენტის არჩევნების ბოიკოტირება გადააფიქრებინოს?

– კონსტიტუციური ვადის მიხედვით, 4 იანვარს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება აუცილებელია. ვაკუუმი არ უნდა შეიქმნას, ჩვენ საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა ვართ და პრეზიდენტის გარეშე ქვეყნის მართვა ძალიან გართულდება. პრეზიდენტის არჩევნების გადადებაზე საუბარიც არ უნდა იყოს. დაუშვებელია ქვეყნის რომელიმე ტერიტორიაზე (აფხაზეთს და ე. წ. სამხრეთ ოსეთს არ ვგულისხმობ) ეს არჩევნები არ ჩატარდეს. ბოიკოტი არ უნდა მოხდეს. ასეთია ჩვენი ფრაქციის პოზიცია.

იხ. მე-3 გვ.

კორუფციის წინააღმდეგ

მუქი ჩრდილი ნათელ ფონზე

საქართველოში შეიძლება ყველაფერი, მაგრამ... არა ყველასთვის. შეიძლება, მაგალითად, მშვიდად შემოიტანო და გაიტანო კონტრაბანდა, მაგრამ ამ „ბიზნესის“ უშიშროება უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძელი „ფარული კვოტის“ მიღება, ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს საქმეში ჩახედული ხალხი. თვითმოქმედ კონტრაბანდისტებს ენერგიულად იჭერენ. „ნადავლის“ ნაწილი, წვრილფეხობა, ხვდება ოფიციალურ ცნობებში, მათი გვარები ფიგურირებს ანგარიშებში.

იხ. მე-4 გვ.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

გია ბიგვავას და გია როდონაიას მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეიარაღებულ ბოროტმოქმედთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

გია ბიგვავა – პოლიციის ზემდეგი, ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა რაზმის ოცეულის პოლიციელი;

გია როდონაია – პოლიციის კაპიტანი, სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიციის უბნის ინსპექტორი.

ნინო ბურჯანაძე,
საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

გიხაროდენ!

ოჯახში ორი დათო გვეზრდება



შვილებს გიორგის და ნაირას ამ ერთი წლის წინ ქორწილი ერთად გადავუხადეთ. ორივემ წლისთავზე შვილიშვილები გვაჩუქეს. ორივეს ბიჭები შეეძინათ. ორივემ ბავშვებს ბაბუის – ჩემი მეუღლის სახელი დავითი დაარქვეს. ასე რომ, ოჯახში ორი დათო გვეზრდება.

გიორგი ქუთაისში, ცოლოურში ცხოვრობს, იქ იშოვა სამუშაო, ნაირა კი თბილისშია გათხოვილი. მე და დათო რძალსა და ქალიშვილს თავიანთ ჩვილებიანად მალე ჩვენთან ველოდებით, ჩამოვლენ და მივეხმარებით. ვიცი, ჩემი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ და იმიტომაც დაგიკავშირდით, წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

დარეჯან კვესიტაძე, ზესტაფონი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

იმ საღამოს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი:

შევარდნაძის გადადგომაზე ლაპარაკი არ ყოფილა

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

პირისპირ საუბარი

11 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის დელეგაცია, რომელსაც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტი შიგეუ კაცუ ხელმძღვანელობს.

* * *

იმავე დღეს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში სეი ციანგს.

ორივე შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

თავისუფალი და პატიოსანი

გერმანია იმედოვნებს, რომ არჩევნები საქართველოში თავისუფალი და პატიოსანი იქნება, – განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა იოშკა ფიშერმა. საქართველოში შექმნილი ვითარება დაწვრილებით განიხილეს რუსეთისა და გერმანიის საგარეო პოლიტიკური უწყებების მეთაურთა მოლაპარაკების დროს.

დირექტორთა საბჭოს სხდომა ლონდონში გაიმართება

ლონდონში 16-17 დეკემბერს გაიმართება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელზეც ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობას და პროექტის დაფინანსების საკითხებს განიხილავენ.

სავარაუდოდ, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე უნდა დამტკიცდეს ფინანსური დოკუმენტაციების ის პაკეტი, რომელსაც პროექტის დამფინანსებლები მომავალი წლის იანვარში მოაწერენ ხელს.

დაუშვებლად მიიჩნევენ

სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა გარკვეული ნაწილი რუსეთის მიერ აჭარაში გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღების ფაქტს და აჭარის მხრიდან არჩევნების მოსალოდნელ ბოიკოტს ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს, ეს არალეგიტიმურ სივრცეში დატოვებს ქვეყანას, კვლავ გაგრძელდება პოლიტიკური დავები, რის შედეგადაც საქართველო საერთაშორისო თანადგომას დაკარგავს.

ბატალიონი აღლუმისთვის ემზადება

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მომზადებულმა თელავის მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ გუშინ რესპუბლიკის მოედანზე საზეიმო აღლუმისთვის მზადება დაიწყო.

წვრთნების წარმატებით დასრულებისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი შაბათს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება.

სპეცრაზმი – კონტრაბანდის წინააღმდეგ

საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის რამდენიმე წარმომადგენლის შიდა ქართლის მხარეში გადასროლა კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდება, – განაცხადა უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა.

მისი თქმით, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დახმარება უშიშროების სამინისტროს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სთხოვა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

რეაქცია

კახა ცქიტიშვილმა განცხადება დაწერა

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ზურაბ ჭანკოტაძემ მისი ერთ-ერთი მოადგილის კახა ცქიტიშვილის გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დააკმაყოფილა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ადმინისტრაციაში განუცხადეს, კახა ცქიტიშვილმა სამსახურიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე ზურაბ ჭანკოტაძეს ულტიმატუმი წაუყენა, რათა მას კახა ცქიტიშვილი სამსახურიდან დაეთხოვა, ვინაიდან იგი ბლოკის „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთ-ერთი წევრის ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟია.

ინტერ-პრესი.

კონტაქტები

ედუარდ შევარდნაძემ ჯეიმს ბეიკერი სტუმრად მოიწვია

გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტიმ“ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 10 დეკემბერს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ პირველად, შედგა სატელეფონო საუბარი მასსა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერს შორის.

ჯეიმს ბეიკერმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ შევარდნაძეს ბრძნული და გონიერი გადაწყვეტილების გამო მის გადადგომასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ ედუარდ შევარდნაძე საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს საქართველოს დროებით ხელისუფლებას.

„აშშ-ს ეს პოზიცია შეთანხმებულია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან“, – ციტირება გაუკეთა ბეიკერის სიტყვებს პრეზიდენტ შევარდნაძის წარმომადგენელმა.

ედუარდ შევარდნაძემ ჯეიმს ბეიკერი მეუღლითურთ თბილისში კერძო ვიზიტით მოიწვია.

ამინდი დღეს

თბილისი	– მზიანი ამინდი.	ღამით -3, დღისით +7
ბათუმი	– მცირე მოღრუბლ.	ღამით +3, დღისით +13
სოხუმი	– მცირე მოღრუბლ.	ღამით 0, დღისით +10
ფოთი	– გამოიდარებს.	ღამით +2, დღისით +12
ქუთაისი	– გამოიდარებს.	ღამით 0, დღისით +10
გორი	– გამოიდარებს.	ღამით -2, დღისით +7
თელავი	– მზიანი ამინდი.	ღამით -3, დღისით +6

ლარის კურსი

12 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.7521	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1575	ლარი
ევრო	1	2.6233	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0733	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ 72 წლის, მეორე ჯგუფის ინვალიდი, მაქვს სამედიცინო პოლისი.

გთხოვთ, განმიმარტოთ, შემიძლია თუ არა პოლიკლინიკაში ყველა სახის სამედიცინო მომსახურება ჩავიტარო უფასოდ.

გავიგე რაღაც შეღავათები არსებობს, მაინტერესებს, არის თუ არა პოლისიანი ავადმყოფისათვის კბილების პროთეზირება.

ნოდარ სარჯველაძე.

– უმწეოთა სამკურნალო დახმარების სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის პოლისით 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეს ამბულატორიულად, ანუ პოლიკლინიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეუძლია ჩაიტაროს სამედიცინო გამოკვლევები უბნის ექიმის დიაგნოზის საფუძველზე და არა თვით პაციენტის სურვილის შესაბამისად, როგორც ამას ხშირად მოითხოვენ ავადმყოფები. ასევე, პოლისით მოსარგებლე პირებისათვის კბილების პროთეზირებაც, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ არის დაფინანსებული.

აღნიშნულ საკითხზე დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სტომატოლოგიურ კლინიკას „უნიდენტს“, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

უკანასკნელ საათს

ევროპაში ნატოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი, ამჟამად აშშ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი უესლი კლარკი, რომელიც 1999 წელს, იუგოსლავიის დაბომბვის დაწყებამდე, არაერთხელ შეხვედრია სლობოდან მილოშევიჩს და მოლაპარაკებებიც უწარმოებია მასთან, იუგოსლავიის ყოფილი ხელმძღვანელის სასამართლო პროცესზე 15 და 16 დეკემბერს მის წინააღმდეგ მოწმედ გამოვა.

გუშინ საღამოს ერაყის ქალაქ რამადში, ამერიკული ბაზის წინ მძლავრი აფეთქება მოხდა. ამერიკის არმიის წარმომადგენლის თქმით, არის იმის მონაცემები, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო კამიკაძის თავდასხმა. საჯარისო ნაწილში არიან დაშავებულები.

ინტერპანორამა

Washington Times-ის აზრით, თეთრმა სახლმა მხარდაჭერა უნდა აღუთქვას რუსეთის დემოკრატიულ ძალებს და მიახვედროს პუტინი, რომ თუ რუსეთს სურს, განაგრძოს ინტეგრაცია „დიდ შვიდეულსა“ და ეუთოში, მან უნდა გამოიყენოს დასავლური პოლიტიკური მოდელები და დაიცვას კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთში ინვესტიციები ძალიან შემცირდება.

ორი პაკისტანელი მეატომე მეცნიერი – ფარუკ მოჰამედი და იასინ კოხანი, რომლებმაც საკვანძო როლი შეასრულეს 1998 წელს პაკისტანის მიერ ატომური იარაღის წარმატებით გამოცდაში, დააპატიმრეს იმისათვის, რომ ეჭვმიტანილი არიან ირანისთვის ატომური ტექნოლოგიის გადაცემაში.

აშშ ერაყში ახალ სადაზვერვო სამსახურს ქმნის. მასში სამუშაოდ სადამის ყოფილ აგენტებსაც კი ღებულობენ. ახალ სამსახურს გაწვრთნიან, დააფინანსებენ, მოწყობილობითა და ტექნიკით მოამარაგებენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და იორდანია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

ჩვენ

ყველა თავის ლოცვას იტყვის

პირველი გვერდიდან

* * *

ერთი ეპისკოპოსი გემით მგზავრობდა. პატარა კუნძულს მიადგა გემი. ეპისკოპოსი გადმოვიდა ნაპირზე. ხედავს, სამი მეთევზე ბადეს კემსავს.

გამოელაპარაკა. გაირკვა, რომ მრავალი საუკუნის წინათ მათი წინაპრები მისიონერებს მოუნათლავთ.

სიამაყით აუწყეს ამის შესახებ ეპისკოპოსს მეთევზეებმა.

— როგორ ლოცულობთ? — დაინტერესდა მღვდელმსახური.

— თვალებს ზეცისკენ ალვაპყრობთ და ვიტყვით: „ჩვენ სამნი ვართ და თქვენც — სამნი. შეგვიწყალეთ ჩვენ!"

წმინდა სამებას გულისხმობდნენ ზღვის მაშვრალნი.

ეპისკოპოსმა შეიცხადა, ასე არაო და ასწავლა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..." თავიდან ბოლომდე დააზეპირებინა.

გამოხდა ხანი.

სხვა გემმა, რომლითაც იგივე ეპისკოპოსი მგზავრობდა, სამი მებადურის კუნძულს ჩაუარა. გაიხსენა ეპისკოპოსმა, როგორ ასწავლა მათ ლოცვა და კმაყოფილი დარჩა.

უცებ შენიშნავს: აღმოსავლეთით სვეტი ნათელი ეშვება ზღვაზე. გემს უახლოვდება თანდათან. გაოცდება ფრიად: ნათლის სვეტი თავს ადგას სამ მეთევზეს, რომლებიც მისკენ მოაბიჯებენ.

წყალზე მოაბიჯებენ!

რა თქმა უნდა, ისინი იყვნენ — ეპისკოპოსის მიერ განათლებულნი.

— დაგინახეთ და შენთან შესახვედრად გამოვეშურეთ, — გახარებულნი შესძახებენ გემბანზე მდგარ სულიერ მამას.

— რა გსურთ ჩემგან? — მოკრძალებით შეეკითხება მოძღვარი.

— გვაპატიე, მეუფეო, მაგრამ დაგვავიწყდა შენი მშვენიერი ლოცვა. ვიწყებთ: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი..." და ველარ ვაგრძელებთ, აღარ გვახსოვს. ერთხელ კიდევ გვასწავლე ეს ლოცვა.

ეპისკოპოსს გონება გაუნათდება და უპასუხებს:

— წადით შინ, შვილნო ჩემნო, და ისე ილოცეთ, როგორც ადრე ლოცულობდით (**ენტონი დე მელოს მიხედვით**).

* * *

ჩვენ ბევრნი ვართ და — ერთნი. საკუთარი ლოცვით მლოცველები, და, ღმერთო, შეგვიწყალენ ჩვენ ყველანი და — ერთად.

ნათლის სვეტი კი ერთ ხატსა და სახატეს ადგას.

არმაზ სანებლიძე.

სიტუაცია

უშიშროების საბჭომ მიხეილ სააკაშვილის დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა



11 დეკემბერს სახელმწიფო კანცელარიაში უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც საბჭოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 4 იანვრის პრეზიდენტის არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის დაცვა გააძლიერონ.

საბჭოს მდივანმა ჯემალ გახოკიძემ განაცხადა, რომ საგრძნობლად მოიმატა იმ ინფორმაციების ნაკადმა, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის ხელყოფას ეხება. აქედან ბევრი ინფორმაცია არ არის რეალური და გადამოწმების შედეგად არ დასტურდება, მაგრამ ბევრიც სიმართლესთან ახლოსაა და ამიტომ აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. ჯემალ გახოკიძეს მიაჩნია, რომ ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შედეგად მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად რომელიმე სამთავრობო რეზიდენციაში უნდა გადავიდეს, სადაც მისი უსაფრთხოება უფრო მეტად იქნება დაცული. ამ პროცესთან დაკავშირებული ფინანსური მხარის უზრუნველყოფას, დადგენილი წესების თანახმად, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანია იკისრებს.

უშიშროების საბჭოს მდივანი არ გამორიცხავს იმ ფაქტსაც, რომ მიხეილ სააკაშვილი საცხოვრებლად კრწანისის რეზიდენციაში გადავიდეს, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და საბოლოო პასუხი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

საქინფორმი.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 8 დეკემბერი — ქ. თბილისი

მ. ბეგიაშვილის საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად დანიშვნისა და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის №137 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი მალხაზ ბეგიაშვილი დაინიშნოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრად.

2. „ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის №137 ბრძანებულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ირაკლი ბოჭორიძის ნაცვლად ჩაიწეროს მალხაზ ბეგიაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
ნ. ბურჯანაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 8 დეკემბერი — ქ. თბილისი

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსათვის ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №52-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის №1200 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსათვის ქ.თბილისში, ბარნოვის ქ. №52-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის №1200 განკარგულებას დაემატოს მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2003 წლის 15 დეკემბერი".

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
ნ. ბურჯანაძე.

სინათლე, რომელიც არ არის

პანკისის ხეობაში 24-მეგავატიანი „ხადორჰესის" მშენებლობა, რომელიც 2001 წელს დაიწყო, დასრულდა, თუმცა ჰესის სისტემასთან მიერთება საგარაუდოდ კიდევ 9 თვეს არ იქნება შესაძლებელი. ამას ტექნიკური პროცედურებით ხსნიან.

რეკავენ, როგორც რეკავდნენ

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ, 15 საათზე სტუდენტური სპექტაკლების და ფილმების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის „დებიუტის" გახსნა ჩაიშალა, რადგან გაისმა ანონიმური ზარი, რომელმაც შენობაში ნაღმის არსებობა შეატყობინა.

მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა, 24 საათის მანძილზე სასწავლო პროცესის განახლება რეკომენდებული არ არის.

კავკასიაში სიტუაციის სტაბილიზებისთვის

რუსეთი და თურქეთი „პარალელურად იმოქმედებენ", ამასთან შეათანხმებენ თავიანთ ნაბიჯებს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რაზოვმა, რომელმაც თურქეთის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურთან ადილ გიულთან განიხილა კავკასიის რეგიონში და საქართველოში შექმნილი სიტუაცია.

რუსეთში

ძველი ძალებით და ახალი ფორმულით

10 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის საბჭომ მხარი დაუჭირა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიის განგრძობის ახალ ფორმულას. ფედერაციის საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი იქ იქნებიან „მანამდე, სანამ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს ოპერაციის შეწყვეტას".

აქამდე ფედერაციის საბჭო ვადას ნახევარი წლით აგრძელებდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბოლო შეხვედრაზე მიღწეული იყო, როგორც ითქვა, სწორედ ისეთი „ფორმულა, რომელსაც მხარი დაუჭირეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებმა".

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში პირადმა წარმომადგენელმა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა ასევე ყურადღება მიაპყრო საკითხის ამ მხარეს. „მანდატი გრძელდებოდა ყოველ ნახევარ წელიწადში და ყოველთვის ვაწარმოებდით დაძაბულ მოლაპარაკებას საქართველოს მხარესთან", — შენიშნა მან და აღიარა, რომ ეს მოლაპარაკება „ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს". როგორც მან განაცხადა, ახალი ფორმულა არ მოითხოვს ყოველ ნახევარ წელიწადში მანდატის გაგრძელებას. „ეს საშუალებას მოგვცემს ყოველთვის აღარ ვაწარმოოთ ძნელი დისკუსიები", — შენიშნა მან.

საქართველოს საშინაო საქმეებში არ ერევიან

რუსეთი „არ აპირებს ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში, ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებზე მყოფი რუსი სამხედრო მოსამსახურეები კი ნეიტრალიტეტს იცავენ". ეს განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ანატოლი კვაშნინმა. მან „საქართველოს საშინაო საქმე" უწოდა უთანხმოებასა და კონფლიქტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ოფიციალური თბილისის ხელისუფალთა შორის.

შეეხო რა ნატოში საქართველოს შესვლის პერსპექტივას, კვაშნინმა აღნიშნა, რომ ამისათვის არსებობს „შესაბამისი ნორმატივები და პირობები", საქართველო კი, მისი შეფასებით, ამისათვის მზად არ არის. „ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის წევრი რომ გახდეს ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეესაბამებოდეს ნატოს სტანდარტებს,— თქვა გენერალური შტაბის უფროსმა, — ჯერჯერობით არ ვიცი, როგორი იქნება ეს შესაბამისობა". „საქართველოს უამრავი პრობლემა აქვს, რომლებიც ჯერ უნდა გადაწყვიტოს, კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური, მათ შორის, შინასახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები", — აღნიშნა ანატოლი კვაშნინმა.

სამხედრო თანამშრომლობა 2010 წლამდე

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორი საპროგრამო დოკუმენტის პროექტის — 2010 წლამდე სამხედრო თანამშრომლობის კონცეფციისა და პერსპექტიული გეგმის შემუშავების გზაზე წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომა, რომელიც გუშინ მოსკოვში გაიხსნა. სხდომაში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია. პროექტებს შემდგომში გამოიტანენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოზე განსახილველად.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, კონცეფცია განსაზღვრავს თანამეგობრობის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრიორიტეტებს სამ სფეროში — სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ სფეროებში, ხოლო პერსპექტივის თვალსაზრისით დაადასტურებენ კონკრეტულ მიმართულებებს და პარამეტრებს ამ თანამშრომლობისათვის. გარდა ამისა, თავდაცვის მინისტრების მოსკოვის შეხვედრის მონაწილენი შეაჯამებენ 2003 წლის მანძილზე ამ კოლექტიური ორგანოს მუშაობის შედეგებს, დაამტკიცებენ მისი მუშაობის გეგმას მომავალი წლისათვის, ხელს მოაწერენ სამხედრო უწყებებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებს.

მინისტრები განიხილავენ აგრეთვე აფხაზეთში კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლის უფლებამოსილებათა გაგრძელების საკითხს.

საქინფორმი.

დიალოგისთვის

სახელმწიფოებრივი ინტერესები უმთავრესი პრიორიტეტია

11 დეკემბერს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა ბათუმში პატიმრობიდან გათავისუფლებულ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრს გიორგი მშვენიერაძეს.

შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მართალია, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ბათუმში ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია ცენტრსა და რეგიონს შორის დაწყებული დიალოგით. ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მზად არის დიალოგისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან, თუმცა „მე ჯერ არ მაქვს უფლება ვაწარმოო მოლაპარაკება ქვეყნის გლობალურ საკითხებზე, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობას არ მოუნიჭებია ჩემთვის ამის მანდატი. თუ 2004 წლის 4 იანვრის პრეზიდენტის არჩევნებზე ქართველი ერი გამოხატავს თავის ნებას და ამის უფლებას მომანიჭებს, მე ყველაფერს გავაკეთებ ქვეყნის გამთლიანებისათვის," განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა. მისი თქმით, მოლაპარაკება რეგიონის ხელმძღვანელთან უნდა წარიმართოს კომპრომისების გათვალისწინებით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე.

საქინფორმი.

ბრიფინგი

„ცხელი ხაზი" და „საჯარო სამსახური ყველასთვის"

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ 11 დეკემბერს საგანგებო ბრიფინგი გამართა, თუმცა იგი მოგვიანებით დაიწყო. ამის მიზეზი იყო ის ანონიმური ზარი, რომლითაც იუწყებოდნენ, რომ სახელმწიფო კანცელარიის შენობაში ნაღმია. სიტუაციის გარკვევას გარკვეული დრო დასჭირდა და ბრიფინგი მოგვიანებით გაიმართა.

პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში პირველად ამოქმედდება ცხელი ხაზი, „თუ აქამდე საქართველოს მოსახლეობა ხელისუფლებას უსმენდა, ახლა დადგა დრო, ხელისუფლებამაც მოუსმინოს ხალხს. სწორედ, ამიტომ მუშაობას იწყებს ცხელი ხაზი და ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ექნება მისი უფლებების შელახვის შემთხვევაში ხელისუფლებას აცნობოს ეს. არც ერთი შემთხვევა ურეაგირებოდ არ დარჩება", — აღნიშნა გიორგი არველაძემ. მისი განცხადებით, ეს არ არის ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ ქულების ჩასაწერად გადადგმული ნაბიჯი და იგი მუშაობას მუდმივად გააგრძელებს იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ დროს მოქალაქეს შეეძლოს ხმა მიაწვდინოს ხელისუფლებას. პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს გააცნო პროგრამა „საჯარო სამსახური ყველასათვის", რომელიც სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

საქინფორმი.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განკარგულებით დაინიშნენ:

არტურ ერემიანი — ახალქალაქის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

ემზარ გვეტაძე — ტყიბულის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

კოალიცია

საქართველოს შესთავაზეს ერაყის რეკონსტრუქციისათვის ტენდერში მონაწილეობა

საქართველო იმ 63 ქვეყანას შორის არის, რომლებსაც შესთავაზეს ტენდერში მონაწილეობა ერაყის აღდგენისათვის კონტრაქტების მიღების მიზნით, რომლებიც შეფასებულია 18,6 მილიარდ დოლარად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყნების კომპანიებს, რომლებიც შეერთებულ შტატებთან ერთად იბრძოდნენ ერაყში. ამის შესახებ იტყობინება ერაყის პროგრამის მენეჯმენტის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია ამ კონტრაქტების განაწილებისათვის.

ამასთან ინსტრუქციებს თან დართული აქვს სია, რომელშიც ჩამოთვლილია ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე 63 ქვეყანა. ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან ამ სიაში, კერძოდ, დასახელებულია თანამეგობრობის ექვსი ქვეყანა (საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი და მოლდავეთი), აგრეთვე ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო — ლიტვა, ლატვია, ესტონეთი.

საქინფორმი.

დღის შეკითხვა:

პირველი შეხვედრა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოება და თავის მხრივ ხელისუფლებაც, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ დასრულდა.

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ცდა არ დააკლო ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარებას, იმას, რომ აჭარამ აუცილებლად მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი, როგორც ჩანს, არც ისე იოლად დასაყოლიებელი აღმოჩნდა.

რას ფიქრობს და როგორ აფასებს საზოგადოება ამ ვიზიტს, როგორ წარიმართება მომავალში ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ბატონი ასლან აბაშიძის მოლაპარაკებები?

როგორ მიგაჩნიათ, აჭარის ლიდერთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
აჭარის წარმომადგენელი თბილისში:

— დიალოგები აუცილებლად წარმატებული იქნება. ბატონი ასლან აბაშიძე არ არის ის ადამიანი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. აჭარის ჩამოშორება გამორიცხულია. მშვიდობიანი მოლაპარაკებების შედეგად კომპრომისები მოინახება.

მირანდა ფალავანდიშვილი,
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი:

— ვფიქრობ, ნაადრევია წარმატებებზე საუბარი, ვინაიდან, ბატონი ასლან აბაშიძე არ ცნობს დღევანდელი ხელისუფლების ლეგიტიმურობას. აქედან გამომდინარე, გართულებულია მათ შორის ურთიერთობაც. დიალოგები გაიმართება, მაგრამ არა მგონია ბატონი ასლანი ხელისუფლებისთვის სასარგებლო კომპრომისებზე წავიდეს. ამაში, პირველმა შეხვედრამაც დაგვარწმუნა.

თინათინ ორახელაშვილი,
სასამართლო მედიცინის ექსპერტი:

— თავისთავად, დადებითად ვაფასებ ამ ვიზიტს. თუმცა, ვფიქრობ, რომ აჭარასთან ასეთ დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს აჭარის ლიდერისა და ბატონი მიხეილ სააკაშვილის ურთიერთდამოკიდებულება. არ შეიძლება ქვეყნის ინტერესები მათ შეეწიროს.

თამარ ინხოა,
მთარგმნელ-რეფერენტი:

— მართალია, საზოგადოება იმედგაცრუებული დარჩა პირველი შეხვედრიდან, მაგრამ დიალოგები ხომ კვლავ გაიმართება. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ერთხელ და საბოლოოდ მოგვარდეს აჭარის პრობლემა.

დავით ასკურავა,
ინჟინერ-მშენებელი:

— ბატონი ასლანი, მართალია, უცებ არ დათმობს პოზიციებს, მაგრამ კომპრომისები ყოველთვის შეიძლება მოინახოს, ამაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. მათ რეალურად აქვთ ამის შესაძლებლობა. დაველოდოთ ბატონი ზურაბ ჟვანიას ჩასვლას ბათუმში. წარმატებები მომავალში აუცილებლად იქნება. სხვანაირად არ შეიძლება.

დაველოდოთ! ლოდინი ამ შემთხვევაში დიდხანს არ მოგვიწევს. რაც მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენლები გამოხატავენ პოლიტიკურ ნებას და სურვილს, რომ ყველაფერი მალე მოწესრიგდეს. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა კიდეც, რომ ქვეყნის ინტერესების სანაცვლოდ თუ საჭირო იქნება, მზადაა, თუნდაც 10-ჯერ ჩავიდეს ბათუმში.

ეს სიტყვები საქმის კეთების სურვილის გულწრფელი გამოხატულებაა და ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ დიალოგები მომავალში წარმატებით დასრულდება და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს საამისოდ.

რუბრიკას უძღვება
ეთერ საბანაძე.

ქრონიკული კანდიდატის 50 ათასი მომხრე

გუშინ 50 ათასი მხარდამჭერის სია ცესკოში მხოლოდ ქართლოს ღარიბაშვილმა წარადგინა.

როგორც ქართლოს ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, იგი გამარჯვებაში დარწმუნებულია და თავის ერთადერთ რეალურ კონკურენტად „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს ასახელებს.

პრეზიდენტობის 15 კანდიდატიდან 13 დარჩა, რადგან ორმა — სერგო ავქსენტიევმა და ლია ამანათაშვილმა საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

ყოფილებმა არ იციან, რას დაირქმევენ

როგორც „ინტერ-პრესს" „ლეიბორისტული პარტიის" კახეთის რეგიონის კოორდინატორმა თამაზ ბაზერაშვილმა განუცხადა, ყოფილი „ლეიბორისტები" რეგიონში მობილური ჯგუფების ჩამოყალიბებას იწყებენ, რომელთა მთავარი მიზანი „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის და პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერა იქნება.

მან ჯერ კიდევ არ იცის, რა სახელწოდება ექნება ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას.

ბათუმში ჩასვლას აპირებენ

ცენტრსა და აჭარას შორის არსებული დაძაბული ვითარების დასარეგულირებლად არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივ ჯგუფს ქმნიან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან ჩასვლას გეგმავენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათი განცხადებით, მოლაპარაკებების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი 4 იანვარს დაგეგმილ პრეზიდენტის არჩევნებში აჭარის მონაწილეობა იქნება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

განხეთქილება

პარტიასა და მის ყოფილ ლიდერს შორის დაპირისპირება მწვავდება

„ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა" და მის ყოფილ ლიდერს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას შორის დაპირისპირება მწვავდება. გუშინ ედეპეს პრეზიდიუმმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ირინა სარიშვილი-ჭანტურია პარტიის სახელით აკეთებს განცხადებებს, რასაც ედეპეს პოზიციასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" პრეზიდიუმი ირინა სარიშვილი-ჭანტურიას და პარტიის თითოეულ წევრს პარტიის წესდებას და საზოგადოდ აღიარებულ შიდაპარტიულ დისციპლინას შეახსენებს და მოუწოდებს, რომ „მან, ვინც თავს ედეპეს წევრად მიიჩნევს და სურს კვლავ შეინარჩუნოს ამ პარტიის წევრობა, პარტიის ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად არ გააკეთოს პოლიტიკური განცხადებები და მოწოდებები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" რიგებს ავტომატურად ჩამოშორდება.

როგორც „ინტერ-პრესს" ედეპეს აღმასრულებელმა მდივანმა უტა ლიპარტიამ განუცხადა, ირინა სარიშვილი-ჭანტურია პარტიის წევრად მას შემდეგ აღარ ითვლება, რაც მან ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ განაცხადა.

ინტერ-პრესი.

განსჯა

უპირველესი პირობა იმისა, რომ არსებობდეს სახელმწიფო და იგი არ იყოს ჩანაცვლებული „სამშობლოთი" (რომელსაც თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია), არის თითოეული მოქალაქის, საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერებაში ქვეყნის, სამშობლოს სახელმწიფოდ აღქმა, გააზრება და დამკვიდრება. ამ ცნების საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერებაში დაბადება, განვითარება და დამკვიდრება არანაკლებ განამტკიცებს და ქმნის რეალურ სახელმწიფოს, ვიდრე მისი სხვა აუცილებელი ატრიბუტები.

თუ ყოველ დღეს შეხედავთ, როგორც მომავალს

გულწრფელად რომ ჩავიხედოთ ჩვენს თავში და დავსვათ კითხვა, ჩამოგვიყალიბდა კი ჩვენ ასეთი სახელმწიფოებრივი აზროვნება ამ 12-13 წლის განმავლობაში, ასეთი „მოქალაქეობრივი სახელმწიფოებრივი ფსიქიკა", რაც უპირველესად სახელმწიფოს პატივისცემას, სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტის — კანონის მიმართ მორჩილებას გულისხმობს? პასუხი, ალბათ, უნდა იყოს — არა!

ნურავინ იტყვის, რომ არ გვაქვს ამის უნარი. ეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. მაშ, რაღაა იმის მიზეზი, რომ წლების განმავლობაში ჩვენს ცნობიერებაში არა და არ გაჩნდა ასეთი მნიშვნელოვანი რამ, მაშინ, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოსტსოციალისტურ, ახლად წარმოქმნილ ქვეყნებში, ასეთი რამ მოხდა?

ალბათ, აქ უმნიშვნელოვანესი მიზეზი მაინც ხელისუფლების ნებაა, ურომლისოდაც ასეთი ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ხელისუფლებას, როდესაც იგი ხალხის ნების გამომხატველი და აღმსრულებელია, შეუძლია განსაზღვროს ქვეყნის ცხოვრების, განვითარების ისეთი წესი, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესი ფენომენის ჩვენს ფსიქიკაში დასამკვიდრებლად დადებითად იმოქმედებს. ამის შემდგომ კი ცნება „სახელმწიფო" აისახება ცხოვრების წესში, საზოგადოების ყოფის ნებისმიერ სფეროში.

ამისთვის კი აუცილებელია ქვეყანაში მოქმედებდეს ყოვლისმომცველი კანონი, მისი სხვადასხვა განშტოებითა და გამოხატულებით, რომლის უპირობო შემსრულებელი, დამცველი და გარანტი თვით ხელისუფლება იქნება, ხოლო ყოველი მოქალაქე მისი ასრულების ინსტრუმენტი. სადაც არ არსებობენ პრივილეგირებულნი, ყველა ერთნაირად რიგითი წევრია და, ამავე დროს, თითოეული განსაკუთრებული და გამორჩეული როლით. როდესაც კანონის გამოვლინება, მისი აღსრულება, დამორჩილება, სახელმწიფოებრიობის განცდას მოიტანს, ეს ჩვენს ცნობიერებაში მოახდენს „რევოლუციას", გაჩნდება არა ფორმალური განცდა სახელმწიფოსი, არამედ ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრდება სახელმწიფო-კანონი, როგორც ერთმანეთთან გაიგივებული ცნებები. ეს ჩვენს ქმედებებს სრულიად ახალ დატვირთვას და პასუხისმგებლობას შესძენს.

თითოეული ადამიანის სახელმწიფოებრივი ცნობიერების, აზროვნების ჩამოყალიბება ჭეშმარიტი და არა ფორმალური პატრიოტიზმის საფუძველია არ არსებობს სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული სახელმწიფოსადმი პატივისცემის გარეშე, სახელმწიფოს კანონების მორჩილების გარეშე.

უფრო მეტიც. თუ ასეთი მიდგომა არ იქნება, ჩვენს ცნობიერებაში, ყველა მოქალაქის ცნობიერებაში, რა გინდ ძლიერიც იყოს სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი აუცილებელი ატრიბუტი, ნელ-ნელა გაქრება დამოუკიდებელი ქვეყნისათვის, ერისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და თვისება, მით უმეტეს, XXI საუკუნეში. ეს ძალზე დიდი საშიშროებაა, ძალზე დიდი!

ამ თემაზე ბევრი საუბარი, დისკუსია შეიძლება, მაგრამ ახლა მთავარი სხვაა.

ჩვენ ყველას ახლა კიდევ ერთხელ მოგვეცა „ნიშანი", შანსი, არ აქვს მნიშვნელობა ვისი „წარუმატებლობითა" თუ ვისი „წარმატებით", საერთოდ შეიძლება არც ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა „როგორ", სახელად დავარქვათ „რაღაც გარემოებებით". ახლა არ არის დრო გარჩევის, გაბუტვის, ნიჰილიზმის, საკუთარი სიმართლის, მოსაზრებების მტკიცების, საკუთარი მიზნების განხორციელების ან ვერ განხორციელებისათვის პოზიციების დაკავების დრო. მოხდა ცვლილება, რომლის შემდგომაც არის პოზიტივის, პროგრესულის მიღების, გარდასახვის შანსი. ნუ გამოვეკიდებით ტერმინებს, ფაქტებს, ნურც შევაფასებთ. უბრალოდ მივიღოთ ეს ახალი რეალობა, მივიღოთ ისე, როგორც „მოხდა". თუ ჩვენ ვართ შეგნებული, ქრისტიანი ერი, ვიცხოვროთ დღევანდელი დღითა და საზრუნავით, ვისულდგმულოთ მომავლის რწმენით, სიყვარულით და იმედით.

ყველამ საკუთარ გულსა და სულში რომ ჩავიხედოთ, ვიცით, რაც გვინდა ჩვენთვის, ჩვენი შვილებისათვის, მომავლისათვის. ყველა ადამიანში, მიუხედავად მრწამსისა, შეხედულებებისა, წარსულისა, განსხვავებისა, არის ჭეშმარიტების, სიმართლის, სიყვარულის ნაპერწკალი და თუ ამ ნაპერწკალს მივცემთ გაღვივების საშუალებას, იგი შეგვიქმნის შინაგან პოზიტიურ განწყობას და სწორად მოქმედების ვექტორს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს კეთილ მომავალზე იქნება ორიენტირებული. ეს მოქმედების ვექტორი შეიძლება იყოს მრავალსახოვანი, სხვადასხვანაირი, მაგრამ მიმართული ერთი ძირითადი მიზნისკენ — საკუთარი ქვეყნის, როგორც სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ, საბოლოო ჯამში კი — თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობისაკენ.

ჩვენ ხშირად ვართულებთ საკითხებს, ვაწყობთ კომბინაციებს, ვაანალიზებთ წარსულს, ვიხედებით მომავალში, რაც თავისთავად არ არის ცუდი, ოღონდ თუ არ დავივიწყებთ დღევანდელ დღეს, რადგან იგი არის წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც.

თუ ყოველ დღეს ასე დავინახავთ, ერთად ვიქნებით, ყველას ერთი დიდი ამოცანა გვექნება, და ყველა თავის შესაძლებლობით, გზით და საშუალებებით განახორციელებს ამ ამოცანას. მომავალიც დღეს აშენდება, უკეთესი მომავალი.

აკაკი ბოკუჩავა,
არასამთავრობო ორგანიზაცია „კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდამჭერი ფონდის „რესურს-ცენტრის" თავმჯდომარე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მხარე

ყველა რევოლუციას, სისხლიანია ის თუ ხავერდოვანი, მაინც ხელისუფლების ცვლა მოაქვს, როგორც შეეულად, ისე თარაზულად. ეს, ალბათ, ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების ახალ რელსებზე გადაყვანის დანიშნულებითაა განპირობებული. ამ პროცესში მთავარი ისაა, თუ როგორ აღიქვამს ცვალებადობას საზოგადოება, როგორ ეგუება ძველის უარყოფას და ახლის მოთხოვნას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი კმაყოფილია ნოემბრის მოვლენებით, რამაც ახალი კარი შემოაღო ქართულ რეალობაში, ხოლო კარს მიღმა დარჩენილი საზოგადოების კორუმპირებული ნაწილი რეანიმაციის იმედით ამაოდ ცდილობს ძველი სავარძლებისა და ბიუროკრატიული ფორმების შენარჩუნებას.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა, რომელიც ნოემბრის მოვლენების შუაგულში ტრიალებდა, მზადაა წამიწამ, წუთი-წუთ განსაზღვროს და გააკონტროლოს თავისი სამოქმედო არეალი.

როცა პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ ოფიციალურად გააკეთა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ ამ თანამდებობაზე რეკომენდაცია გაუწია ღირსეულ პიროვნებას, რომელიც ქარცეცხლიანი 1992-93 წლებიდან მოყოლებული, ზუგდიდის რაიონის გამგეობაში ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობდა და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. მერე, მთელი ხუთი წელი ზიდა რაიონის გამგებლის მძიმე ტვირთი, მაგრამ მავანთა არაობიექტურობის შედეგად დროებით ჩამოშორდა მმართველობის საჭეს. ბრძენთ უთქვამთ, ღმერთი ყველაფრის მსაჯულიაო: ლერი ჭითანავა დღეს, არამცთუ ზუგდიდს, არამედ სრულიად ეგრისს უდგას სათავეში, რომელმაც ქუჯის სიბრძნით, გუბაზის მოთმინებითა და ცოტნეს ვაჟკაცობით უნდა იღვაწოს ახალი დემოკრატიული საქართველოს ასაშენებლად.

რა თქმა უნდა, მას ბევრი ვიწრო და ოღრო-ჩოღრო გზით მოუწევს სიარული, ურომლისოდაც ფიქრიც ზედმეტია დემოკრატიასა და დემოკრატიული მონაპოვრების შენარჩუნება-განმტკიცებაზე. თუ რა ჩანაფიქრი აქვს და როგორ აპირებს მის ხორცშესხმას, ამის თაობაზე გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლერი ჭითანავა.

ქუჯის სიბრძნით, გუბაზის მოთმინებით და ცოტნეს ვაჟკაცობით...

— კორესპონდენტები ყოველთვის უხვი კითხვებით ხართ შეიარაღებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტრადიცია უნდა დაირღვეს, ყოველგვარი კითხვების გარეშე მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ქვეყანაში მომხდარ თუ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ.

საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუცია სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო. ეს დემოკრატიის გამარჯვების კლასიკური ნიმუშია, რომელიც უდავოდ ამ სახალხო მოძრაობის ლიდერთა უშუალო დამსახურებაა. უეჭველია, ესოდენი სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობა არ იქნებოდა, ხელისუფლებას ყურად რომ ეღო ხალხის სამართლიანი მოთხოვნები და ახალგაზრდა რეფორმატორთა კონკრეტული წინადადებები ამასთან დაკავშირებით. უპენსიობა, უშუქობა, უხელფასობა, უმუშევრობა, ელემენტარული სოციალური საკითხების მოუგვარებლობა... რა დასამალია, რომ იყო ყოველივე ამის გადაუწყვეტელობის ერთგვარი ობიექტური მიზეზებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტად სუბიექტური მიზეზები სჭარბობდა, რასაც სახელმწიფო აპარატი, რატომღაც, ნებსით თუ უნებლიეთ, წინ ვერ აღუდგა.

„ვარდების რევოლუცია" გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ წინ უფრო საპასუხისმგებლო პრობლემებია გადასაწყვეტი, რასაც მხოლოდ ადამიანთა ერთობით და არა გათიშულობითა და ემოციებით მივაღწევთ. უპირველესი ამოცანა პრეზიდენტის არჩევნების ღირსეულად ჩატარებაა, რაც საერთო საქმის სამომავლო გამარჯვების გვირგვინი იქნება.

ყველასათვის ნათელია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე ერთ-ერთი ძლიერი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც ისტორიულად განსაკუთრებული როლი აკისრია ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, მისი ერთიანობისა და ეროვნული თვითმყოფადობის საქმეში, რასაც იგი მუდამ უპირობოდ ასრულებდა. თუ მხარის მიერ განვლილ ათასწლეულებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ის არასოდეს ყოფილა სხვის იმედად, „მათხოვრის" მდგომარეობაში. პირიქით, ძნელბედობის ჟამს სხვებსაც ეხმარებოდა, ხოლო თავის მოსახლეობას ყოველთვის აპურებდა და აკვალიანებდა. საბედნიეროდ, ასეა დღესაც. მისი ეკონომიკის საბაზისო რესურსები საკმაოდ დიდია: ხეტყე, მარმარილოს საბადოები, ტორფი, გაზი, მინერალური წყლები, ჰიდროენერგორესურსები, კარგად ცნობილი კურორტები (მენჯი, ლებარდე, ცაიში, ანაკლია), აგრეთვე, საერთაშორისო სამთო და სხვა სახის ტურიზმისთვის ხელსაყრელი პირობები. ეს მოკლე ჩამონათვალია იმ ეკონომიკური ბერკეტებისა, რომელთა ამოქმედებამ მომავალში უნდა უზრუნველყოს როგორც მხარის, ისე ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერე და ხალხის კეთილდღეობა. ახლა მთავარია მათი ამოქმედება.

ჩვენი მიზანია, წინა პლანზე დავაყენოთ ქალაქ ფოთის ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, მხარეში აგრარული მეურნეობის განვითარების საკითხები და უცილობლად გადავწყვიტოთ ისინი. პრიორიტეტი ისევ მიეცემა მეჩაიეობას, მეციტრუსეობას, მესიმინდეობას, მეცხოველეობასა და თხილის კულტურას.

წლების განმავლობაში სამეგრელო მოკლებული იყო უცხოური ინვესტიციების სიკეთეს. შემიძლია პირდაპირ განვაცხადო, რომ საქართველოში შემოსული გრანტები და კრედიტები ჩვენამდე ვერ აღწევდა. ახალი ხელისუფლება ძველი გზით არ ივლის და საშუალება გვექნება, ვისარგებლოთ გრანტებითა და უცხოური ინვესტიციებით და ისინი ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ, რათა მხარეში განვითარდეს მცირე ბიზნესი, მეწარმეობა, კულტურა, განათლება, სპორტი. მთელი სიმძლავრით ამოქმედდეს ენგურის ჰიდროელექტროსადგური, განახლდეს ხუდონჰესისა და ყულევის ტერმინალის მშენებლობა და ახლო მომავალში საფუძველი ჩაეყაროს მხარის მოსახლეობისათვის ოცნებად ქცეული ანაკლიის პორტის მშენებლობასაც.

ხელისუფლების ძლიერება და სამართლიანობა საკადრო პოლიტიკაშია. წინა ხელისუფლება ხომ საკადრო პოლიტიკის წარუმატებლობამ მიიყვანა სავალალო მდგომარეობამდე, რაც საბოლოოდ ხალხს დააწვა მძიმე ტვირთად და უბიძგა რევოლუციისაკენ. ქვეყნის მასშტაბით საკადრო წმენდა უკვე დაიწყო. იგი ყველგან გაგრძელდება. ბუნებრივია, ჩვენთანაც მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები საკადრო იერარქიაში. ეს დროის მოთხოვნაა. განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მაკონტროლებელ სამსახურებში გადახალისდება კადრები.

ერთი სიტყვით, დემოკრატიულ მონაპოვრებს დაცვა სჭირდება, რაც ახალ ხელისუფლებას ძალუძს და ჩვენც ბოლომდე ვიქნებით დემოკრატიული გარდაქმნების ერთგულნი. უპირველესად — პრეზიდენტის არჩევნები, მერე კი — პარლამენტის. ორივე შემთხვევაში ხალხის ნება გაიმარჯვებს, რაც ერთხელ კიდევ ქართველი ერის გონებისა და ღირსების საერთაშორისო აღიარების საფუძველი იქნება.

სრულიად ვიზიარებ ბატონ ლერი ჭითანავას მოსაზრებებს. მის მიერ დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად მხარის ხელმძღვანელს უდიდესი ძალისხმევისა და, რაც მთავარია, პრინციპულობის გამოჩენა მოუწევს. ადმინისტრაციის ყველა რგოლის საქმიანობა სამართლებრივ პრინციპებსა და ქვეყნის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს. დაუშვებელია კვლავ კლანური და კერძო ინტერესებით „მართვა", რამაც კრახამდე და გაჩანაგებამდე მიიყვანა მთელი ქვეყანა და მათ შორის ჩვენი მხარეც.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

აქტუალური თემა

სავიზო რეჟიმი ყაზბეგშიც გამარტივებულია

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.

(პირველი გვერდიდან)

მოვითხოვთ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისგან, სახელმწიფო მინისტრისგან, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისგან, ასევე, ერთ-ერთი გამოკვეთილი პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილისგან, რომ საქართველოს ყველა რეგიონთან, განსაკუთრებით აჭარასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერ ასლან აბაშიძესთან გამართონ ყველანაირი კონსულტაციები, რათა ეს საშიშროება როგორმე აღმოიფხვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების ჩატარება, ალბათ, არ შეიძლება. ამის დაშვებაც კი არ მინდა. მჯერა, რომ ასლან აბაშიძე საბოლოოდ ამ საკითხს სახელმწიფოებრივად მიუდგება. დიდი იმედი არც მქონდა, რომ ქალბატონი ნინოს ამ ვიზიტს, შედეგი უცბადვე მოჰყვებოდა. ვფიქრობ, მოლაპარაკებებში ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილიც უნდა ჩაერთონ. ყოველ შემთხვევაში, რამე შეთანხმება რომ მოხდეს, ამ ეტაპზე ზურაბ ჟვანიას ჩართვა აუცილებლად მიმაჩნია.

— საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე რუსეთის ფედერაციამ 9 დეკემბრიდან აჭარის მოსახლეობისთვის სავიზო მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმი ამოქმედა. რას ნიშნავს ეს? რუსეთში გამარტივებული მიმოსვლა კარგია, მაგრამ გაუგებარია, როცა დათმობა მხოლოდ აჭარის მიმართ კეთდება. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, რუსეთისგან ასეთი არამეგობრული ქესტი მოულოდნელი იყო.

— გეთანხმებით, რომ რუსეთს ეს ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებასთან უნდა შეეთანხმებინა, ასე ცალმხრივად ამის გაკეთება სწორი არ არის, მაგრამ მიზანშეწონილად არც ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა მიმაჩნია. როგორც მახსოვს, რუსეთთან შეღავათიანი სავიზო რეჟიმი საქართველოს სხვა კუთხეშიც არის — ყაზბეგის რეგიონს ვგულისხმობ. რატომღაც ამაზე არავინ არ ლაპარაკობს. ჩვენი მხრიდან სურვილი იყო, ყაზბეგის რეგიონში სავიზო რეჟიმი გამარტივებულიყო, რუსეთი დაგვეთანხმა და ეს სრულიად უმტკივნეულოდ გაკეთდა. რატომ მაშინ არ ვიყვირეთ? სჯობს, ყველაფერში დადებითი, რაციონალური მარცვალი დავინახოთ. ვიმეორებ, სასურველი იყო რუსეთს ეს უფრო კორექტულად გაეკეთებინა. რაკი ასე არ მოხდა, ჩვენ მაინც ამ ამბავს მშვიდად შევხედოთ და გავაგრძელოთ მუშაობა ამ კუთხით, რათა მალე სავიზო რეჟიმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოიხსნას.

— ბატონო ზურაბ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივა, რომელიც ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას გულისხმობს, ზოგს არ მოსწონს. ოპონენტების აზრით, ეს ინიციატივა ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას კი არა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხელოვნურად შემცირებას გამოიწვევს, რაც, მათი თქმით, საქართველოს მომავალი პრეზიდენტის ლეგიტიმურობის საკითხს ეჭვქვეშ დააყენებს.

— საქმე ის არის, რომ ცესკოს ეს ინიციატივა მხოლოდ წინასწარ რეგისტრაციას არ გულისხმობს. პარალელურად მოსახლეობის კარდაკარ შემოვლა და აღწერაც მოხდება. რამდენად მოახერხებენ ამას, ეს სხვა საკითხია. ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებლობას იღებს, რომ ყველაფერი ეს დროულად და გამჭვირვალედ გაკეთდება. მანამდე კი ამ საკითხზე პარლამენტი იმსჯელებს. ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი პარლამენტში წინადადებით შემოვიდა, რომ ეს ინიციატივა დაკანონდეს, ანუ საარჩევნო კოდექსში შევიდეს. კონსულტაციები იყო, ბიუროზეც ვიმსჯელეთ, ვნახოთ როგორ გადაწყდება.

— პოლიტიკოსები საარჩევნო ბარიერის დაწევაზე ალაპარაკდნენ. ითქვა, რომ 1999 წლის არჩევნების წინ საარჩევნო ბარიერის 7 პროცენტამდე გაზრდამ სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტის — პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა. ერთის მხრივ, ბარიერის დაწევის შემთხვევაში პარტიებს დამოუკიდებლად განვითარების საშუალება კი ეძლევათ, მაგრამ საარჩევნო ზღვარის დაწევამ, თუნდაც 5 პროცენტამდე, შეიძლება პარტიების გამსხვილების პროცესს ხელი არ შეუწყოს. თქვენ რომელ ვარიანტს ემხრობით?

— საარჩევნო ბარიერის 7 პროცენტამდე გაზრდა, ჩემი აზრით, სწორი არ იყო. თავის დროზე ასეთი ზღვარი სუბიექტური მოსაზრებების გამო შემოიღეს, რომ რომელიღაც პარტია პარლამენტის გარეთ დარჩენილიყო. ვფიქრობ, აქცენტი ჩვენზე იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეთ რამეს ყველა თავის თავზე ღებულობს. 7-პროცენტიანი ბარიერი პარტიების გამსხვილებას ხელს უწყობსო, ვიძახით, კი ბატონო, მაგრამ მაინცდამაინც ერთი ან ორი პარტია გვქონდეს, ეს ნაკლებდემოკრატიული მგონია. ბოლო რამდენიმე არჩევნებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში სულ 6-7, შეიძლება 8 პოლიტიკური ძალაა. დანარჩენები ერთ პროცენტამდეც ვერ აღწევენ. აქედან გამომდინარე, პარლამენტში 7-8 პოლიტიკური ძალის მოხვედრა, ოპონირება და განსხვავებული აზრის არსებობა, რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნება. მით უმეტეს, ამ პარტიებს შესაძლებლობა აქვთ პარლამენტში კოალიცია შეკრიბონ და ერთმანეთთან აქტიურად ითანამშრომლონ. მე მაინც მგონია, რომ 7-პროცენტიანი ბარიერი მაღალია. უფრო რაციონალური 5-პროცენტიანი ან 4-პროცენტიანი ბარიერი იქნებოდა.

— არადა, საუკეთესო ვარიანტად 6-პროცენტიან ბარიერს მიიჩნევენ.

— ისე არ გამოგვივიდეს, როგორც იტყვიან — რატა შვიდი? — მაშ, რამდენი? — რატა ექვსი? — მაშ რამდენი? და ა. შ. ყველაფერს სჯობს, საერთო სურათს გადავხედოთ — პირველი არჩევნები რომ ჩავატარეთ, 4-პროცენტიანი ბარიერი იყო. მეორე არჩევნების დროს 5-პროცენტიანი ბარიერი გვქონდა, მესამე და მეოთხე არჩევნები კი 7-პროცენტიანი ბარიერით ჩავატარეთ. გავაანალიზოთ, უკეთესი შედეგი როდის გვქონდა. საარჩევნო ბარიერის დაწესებას საფუძვლიანი სარჩული უნდა ედოს.

მოვითხოვთ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისგან, სახელმწიფო მინისტრისგან, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისგან, ასევე, ერთ-ერთი გამოკვეთილი პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილისგან, რომ საქართველოს ყველა რეგიონთან, განსაკუთრებით აჭარასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერ ასლან აბაშიძესთან გამართონ ყველანაირი კონსულტაციები.

ესაუბრა
მზია გელენავა.



იტალიამ საქართველოსათვის მილიონი ევრო გაიღო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო სასურსათო პროგრამის განცხადებით, იტალიის მთავრობამ მილიონი ევრო გაიღო საქართველოში ამ ორგანიზაციის საქმიანობის დასაფინანსებლად. ამ თანხით შესყიდულ იქნება 2000 ტონა ხორბლის ფქვილი, 500 ტონა შაქარი და მოხმარდება სასურსათო პროგრამას „სურსათი სამუშაოს სანაცვლოდ", რომელიც დახმარებას უწევს ღარიბ ფერმერებსა და მათი ოჯახის წევრებს საქართველოს უღარიბეს ექვს რეგიონში. ამ სურსათის ნაწილი, აგრეთვე, დაურიგდება 4 ათას ჩეჩენ ლტოლვილს პანკისის ხეობაში. ხორბლის ფქვილის პირველი პარტია საქართველოში 2004 წლის იანვრის შუა რიცხვებში შემოვა, ხოლო შაქრის ტვირთი — აპრილში.

ეს ანონბა საქართველოში იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს თედო ჯაფარიძეს.

აფხაზეთში ასე ფიქრობენ

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას გადაყენებისა და ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების მოთხოვნით აფხაზეთში მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურების მიუხედავად, სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი არძინბას გადადგომასა და აფხაზეთის ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას გამორიცხავს.

არშბას განცხადებით, არძინბას ჯანმრთელობის შესახებ არაჯანსაღი საუბრების მიუხედავად, აფხაზეთის მოქმედი პრეზიდენტი თავის მოვალეობას ასრულებს და აფხაზურ საზოგადოებაში სულ უფრო გაგებით ეკიდებიან მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთში სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადაში — 2004 წლის 3 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს.

მისივე თქმით, არჩევნებამდე სულ რაღაც 10 თვე დარჩა და არა აქვს აზრი პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას.

პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შესახებ საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანას და ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას, ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „აიტაარა" და აფხაზ მეომარ-ვეტერანთა კავშირი „ამცახარა".

ერთდროულად რამდენიმე ავარია

დედაქალაქის გაზგამანაწილებელ ქსელში ერთდროულად რამდენიმე ავარია მოხდა, რის გამოც თემქაზე, ჩუღურეთში და სამგორში ბუნებრივი გაზი რამდენიმე ათას მომხმარებელს არ მიეწოდება.

როგორც „ინტერ-პრესს" „თბილგაზში" განუცხადეს, ავარიების ლიკვიდაციაზე მუშაობა მიმდინარეობს და ის მომხმარებლები, რომლებსაც გაზმომარაგება გუშინ საღამოს, ან დღეს დილით შეუწყდათ, ბუნებრივ გაზს ერთ-ორ დღეში მიიღებენ.

დააკავეს კონტრაბანდული საქონელი

პოლიციამ ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის საავტომობილო გზაზე დააკავა სამი „კამაზი", რომელსაც რუსეთის მოქალაქეები მართავდნენ. მათ უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მალულად, ქალაქ სტავროპოლიდან საქართველოში შემოიტანეს 46001 ლარის საერთო ღირებულების 98 ტონა და 150 კილოგრამი განუბაჟებელი ხორბალი, რომლის საბაჟო ღირებულება 23504 ლარია.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა და საქინფორმმა.

თანამშრომლობა

თურქეთის ქალაქ ბურსას საგამოფენო ცენტრში 3-დან 6 დეკემბრამდე ელექტრობის, ელექტრონიკის, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საერთაშორისო გამოფენა მოეწყო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს სავაჭრო პალატის ორგანიზატორობით და თურქეთის საელჩოს დახმარებით, ქართველი ბიზნესმენებიც ჩავიდნენ.

თბილისში კავკასიის საგამოფენო ცენტრი დაარსდება

გამოფენაზე, რომელიც თურქეთის ფირმა „ტუიაპის" დაფინანსებით მოეწყო, წარმოდგენილი იყო მეტალის დასამუშავებელი მანქანები, შემდუღებელი აპარატები, საჭრელი ტექნოლოგიები, წარმოებული მეტალი, პნევმატური ხელსაწყოები, ჰიდრავლიკური მოწყობილობები და ხელის ინსტრუმენტები. ასევე, პლასტმასის მწარმოებელი მანქანა-დანადგარები, პლასტმასის წარმოების ნიმუშები, პლასტმასისა და კაუჩუკის შეფუთვის ტექნოლოგიები და ნედლეული.

გამოფენა გახსნა ჰოლდინგ „ტუიაპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ბულან იამაკმა.** ვფიქრობთ, — თქვა მან, — მსგავსი ურთიერთობები ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს გამოფენაში მონაწილეობის მსურველი ფირმების სიმძლავრეს და მათი პროდუქციის სახეობას, მთავარია, საქმიანი წრეების ერთმანეთთან დაკავშირება და ექსპორტ-იმპორტის ზრდა.

ბურსას სამრეწველო პოტენციალზე საუბრისას, მან აღნიშნა, რომ ამ ქალაქში 2500-მდე მსუბუქი მრეწველობის ობიექტია. თურქეთიდან 40 მილიარდი დოლარის ექსპორტში ბურსას 8 მილიარდი დოლარის წილი აქვს.

გამოფენაზე, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, სამასამდე ბიზნესმენი იყო მიწვეული — საქართველოდან, სირიიდან, იორდანიიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ხოლო მონაწილეობას იტალიიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან, ამერიკიდან და თურქეთიდან 260 ფირმა იღებდა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „ტუიაპის" მენეჯერმა **მურად ოსკაიამ** აღნიშნა, დიდი სურვილი აქვთ სავაჭრო ცენტრი დააარსონ კავკასიაში, რომლის წარმომადგენლობა თბილისში იქნება.

ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში, — ამბობს იგი, — მთავარია საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება. მოლაპარაკების გასაახლებლად თებერვლის დამლევს დაგეგმილია ჰოლდინგ „ტუიაპის" პრეზიდენტის **ბუნალ უნალის** ჩამოსვლა თბილისში, რის შემდეგაც დაიწყება მშენებლობა, რასაც მთლიანად თურქეთის მხარე დააფინანსებს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მედია-მენეჯერის **დავით კობალავას** ინფორმაციით, „ტუიაპის" ერთწლიანი პროექტი 2004 წლის ბოლომდე გაგრძელდება. იგი გაორმაგებული დაფინანსებით შეუდგება გამოფენის მოწყობას, რაც შესაძლებელია 2005 წელსაც გაიხსნას. მომავალ წელს „ტუიაპი" გამოფენის მოწყობას თბილისშიც გეგმავს.

გამოფენაზე ჩასული იყო ოცდაათამდე ქართველი ბიზნესმენი, რომელთაც კონტრაქტები უცხოელ კოლეგებთან ჯერ არ გაუფორმებიათ, თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება.

მსგავსმა გამოფენებმა მიმდინარე წელს შესაძლებელი გახადა კონტრაქტები გაფორმებულიყო ქართველ და თურქ ბიზნესმენებს შორის, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა საქართველოდან საექსპორტოდ გაეტანათ ხეტყე, გრანიტი, სამშენებლო მასალები, ღვინო, კონიაკი და სადეზინფექციო საშუალებები.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მსგავს ღონისძიებებს უახლოეს დღეებშიც გეგმავს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, რაც კვლავაც შეუწყობს ხელს თურქ და ქართველ მეწარმეთა კონტაქტების განვითარებას.

ლელა მანაველიშვილი,
თბილისი-ბურსა-თბილისი.

სურათებზე: „ტუიაპის" საგამოფენო დარბაზებში.

ბიუჯეტი

ჩინებული შედეგი

დღეს რომ ქვეყნის საბიუჯეტო სფეროში საგანგაშო მდგომარეობაა და სახელმწიფო კატასტროფის ზღვარზე დგას, შესანიშნავად უწყიან მკითხველებმა. თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ საჩხერის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისია — აქ საბიუჯეტო პროგრამას გადაჭარბებით ასრულებენ.

წლეულს საჩხერის რაიონში ადგილობრივი საბიუჯეტო პროგრამა, შარშანდელთან შედარებით, 20 პროცენტით გაზარდეს — ის 777,7 ათასი ლარით განისაზღვრა. ამოცანა ძნელი, მაგრამ რეალურად შესრულებადი იყო.

რაიონის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა, რომ იტყვიან, ხელები დაიკაპიწეს, წარმოების დონე გაზარდეს, აღრიცხვიანობა მოაწესრიგეს, ადმინისტრირება გაამკაცრეს, ნარჩენი დავალიანებები მაქსიმალურად ამოიღეს, რითაც შესაძლებელი გახადეს წლიური საბიუჯეტო პროგრამის არა მარტო შესრულება, არამედ მისი 104,6 ათასი ლარით გაზრდაც.

წლევანდელი 11 თვის დაზუსტებული პროგრამით, 736,3 ათასი ლარის ნაცვლად, რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 906,4 ათასი ლარი, რაც წლიურ საბიუჯეტო გეგმას 24,1 ათასი ლარით აჭარბებს.

ცენტრალური საბიუჯეტო პროგრამა რაიონმა 11 თვეში 110 პროცენტით შეასრულა, ზრდის ტემპმა, შარშანდელთან შედარებით, 128,1 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში, სოციალური დაზღვევის პროგრამა 109 პროცენტით შესრულდა. ზრდის ტემპმა, წინა წელთან შედარებით, 178,7 პროცენტს მიაღწია.

სახელმწიფო საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული 1083,9 ათასი ლარის ნაცვლად, 11 თვეში მობილიზებულია 1187,8 ათასი ლარი. ზრდის ტემპმა შარშანდელთან შედარებით 158,8 პროცენტს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონმა ვერ მიიღო ნოემბრის თვის ტრანსფერი — 155 ათასი ლარი, მთლიანად გაისტუმრა ყველა დარგის 11 თვის ხელფასი, დააფინანსა ყველა ხარჯი და წინა წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანებები შეამცირა 75,4 ათასი ლარით.

რაიონმა საკუთარი შემოსავლებით შესძლო დაეფინანსებინა მაღალმთიანი სოფლების — კორბოულის № 1 საშუალო, ხვანის, ჭრიის, კაპანაძეების დაწყებითი სკოლების, № 2 ბაგა-ბაღის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რისთვისაც 73 ათასი ლარი დახარჯა.

ადგილობრივი შემოსავლებითვე, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება ჩაუტარეს მუნიციპალური სახანძრო სამსახურის დეპოსა და ჭალოვანის თემის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობებს, რისთვისაც გაიღეს 22,4 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერითა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებით მიმდინარეობს ქალაქის სანიაღვრე-საკანალიზაციო ქსელის აღდგენისა და აკაკი წერეთლის სახელობის სკვერის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაზეც 78 ათასი ლარი დაიხარჯება.

რაიონის გამგებელი გაიოზ დეკანოიძე და საფინანსო განყოფილების უფროსი ნოდარ მეგრელიშვილი იმედოვნებენ, რომ დეკემბერში ხელფასებს და ყველა ხარჯს დაუბრკოლებლად დაფარავენ და მნიშვნელოვნად შეამცირებენ 1999-2000 წლების ანგარიშიდან დარჩენილ 285 ათასი ლარის სახელფასო დავალიანებებს.

სოზარ კუპატაძე.

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ)

განცხადება

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სატარიფო სისტემის მართვის გაუმჯობესებისა და სემეკის ლიცენზიატთა ტარიფების დასადგენად საჭირო ინფორმაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით ჩატარებულ კონკურსში (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" 3. X. 2003 წ.) მონაწილე 15 აუდიტორული კომპანიიდან კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა:

შპს „კონსაუდი";

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია (DT);

შპს „ინტერაუდიტი";

შპს „აუდიტ კონსალტინგ გრუპსი";

შპს „მედიატორი".

შესაბამის ლიცენზიატებს მიეცეთ რეკომენდაცია ტარიფის დასადგენად საჭირო ინფორმაცია, აგრეთვე, სემეკის 2003 წლის 1 ოქტომბრის № 39/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგებები სემეკში წარმოადგინონ შერჩეული აუდიტორული კომპანიის მიერ დამოწმებული აუდიტური დასკვნის თანხლებით.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კორუფციის წინააღმდეგ

მუქი ჩრდილი ხავერდოვან ფონზე

ჩვენს საბაჟოს არაერთი აქილევსის ქუსლი აქვს. და იმის მიუხედავად, რომ ასეთი სუსტი ადგილების არსებობის შესახებ ყველამ იცის, მათი აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხებულა, რაც მხოლოდ ერთს შეიძლება ნიშნავდეს: ავადმყოფობის დიაგნოზის დასმა შეიძლება, მკურნალობა კი – არა.

მოწვეული საყოველთაო აღფრთოვანება მხოლოდ აღფრთოვანებად დარჩა. იმათ კი, ვისაც ეკუთვნით საბოლოო სიტყვა, ყველაზე ნაკლებად აღელვებთ სოციალურ-ეკონომიკური ნოვაციების პოლიტიზაციის საშიშროება. მათ შეშფოთებას სულ სხვა რამ იწვევს.

ამირან მგელაძე,
თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

იმ სალამოს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი: შევარდნაძის გადადგომაზე ლაპარაკი არ ყოფილა

...მოზნდა, დახმარებისთვის მოსკოვს მიმართა?

– შევარდნაძემ კი არ დაურეკა პრეზიდენტ პუტინს, არამედ – პუტინმა შევარდნაძეს. და ამ შემთხვევაში შევარდნაძემ კი არ სთხოვა დახმარება რუსეთს, არამედ რუსეთმა შესთავაზა დახმარება პრეზიდენტ შევარდნაძეს. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს ასახავს ჩვენს რეალურ პოლიტიკურ ხაზს საქართველოს მიმართ. ყველა ჩვენი შესაძლო უთანხმოების პირობებშიც ...ბა, რომ ერთ-ერთი მიზანი იყო, დაერწმუნებინათ შევარდნაძე, დაეტოვებინა პრეზიდენტის სავარძელი.

სამშაბათს მაასტრიხტიდან დავბრუნდი, სადაც ეუთოს მინისტრთა შეხვედრა გაიმართა. ახლა მომხდარ მოვლენებს სხვადასხვაგვარად აფასებენ. ზოგი დემოკრატიულ, უსისხლო რევოლუციად მოიხსენიებს, ზოგი – „ხავერდოვან რევოლუციად“. მე მიმაჩნია, რომ არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ ესადაგება ...ერთად მოსკოვში ჩამოსულიყო, რის შესახებაც წერდა ზოგიერთი, არ ყოფილა. თითოეული მათგანი საკუთარი ინიციატივით ჩამოვიდა მოსკოვში. მით უფრო, რომ ასეთ ვიზიტებს რეგულარული ხასიათი აქვს.

ესაუბრა
ელენა ოვჩარენკო.
„კომსომოლსკაია პრავდა“, № 227.

ელექტროენერგეტიკას ფინანსური კოლაფსი დაემუქრება

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორს ფინანსური კოლაფსი ემუქრება. „თუ სექტორის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის მოქმედების ვადა არ გაგრძელდა, საქართველოს ენერგეტიკას განადგურება არ ასცდება“, – მიაჩნიათ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში.

1 ოქტომბერს ვადა გაუვიდა „საგადასახადო კოდექსით“ გათვალისწინებულ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმს. მართალია, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეღავათიანი რეჟიმი კიდევ 90 დღით არის გაგრძელებული, მაგრამ თუ პარლამენტი 2004 წლის 10 იანვრამდე ვადას კოდექსით არ გააგრძელებს, ენერგეტიკა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება.

განაჩენს დღეს გაასაჩივრებენ

სავაჭრო ცენტრის „მორკინალის“ მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქების გამო მსჯავრდებულ ალექსანდრე მაისურაძის მიმართ უზენაესი სასამართლოს ...

საბანკო სფეროს ლიდერები

პროგრამა მასწავლებლისათვის

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ენერგეტიკა

ენერგოსისტემის რეაბილიტაცია ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების წამყვანი პრიორიტეტია

ენერგეტიკის როლი ქვეყნის ცხოვრების ნორმალური რიტმისა და ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფაში გასული ათწლეულის მანძილზე ჩვენმა საზოგადოებამ კარგად გააცნობიერა. მიუხედავად ამისა, ჯერაც გადაუწყვეტელი რჩება რაციონალური სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრისა და გატარების ამოცანა.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტის ერთ კონკრეტულ მიმართულებას — საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას.

რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პრიორიტეტი ჰიდროენერგეტიკასთან მიმართებაში ჩემს მიერ ჯერ კიდევ 1992 წელს დამუშავებულ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციაში“ გამოიკვეთა. იგივე პრიორიტეტი 1994 წელს TACIS-ის პროგრამით ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ დამუშავებულ „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში მთლიანად ენერგოსისტემასთან მიმართებაში დასაბუთდა. იგივე პრიორიტეტი დაედო საფუძვლად პროექტს „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც 1997 წელს დამუშავდა და მას შემდეგ ოფიციალურ მიღებას ელოდება.

1998 წელს ანალოგიური დასკვნები გაკეთდა USAID-ის კონტრაქტორის Burns&Roe Enterprizes-ის მიერ დამუშავებულ პროექტში „საქართველო. ელექტროენერგეტიკის სექტორის ოპტიმალური განვითარების გეგმა“.

რამდენადაც ქვეყნისათვის დამახასიათებელ საინვესტიციო გარემოში გამომუშავებული ენერგიის ღირებულებაში საინვესტიციო მდგენელის წილი მეტად მაღალია, ახლად აშენებული სადგურების სალტეებიდან გაცემული ენერგია საუკეთესო შემთხვევაში 5 ცენტ/კვტ. სთ-ის რიგის თუ იქნება.

ამავე დროს საქართველოს ჰესების ენერგიის ახლანდელი საშუალო ფასი კვტ. სთ-ზე 1 ცენტის რიგისაა, ხოლო არსებულ სიმძლავრეთა რეაბილიტაციის შემდეგ (რასაც ახალ მშენებლობასთან შედარებით გაცილებით უფრო ნაკლები ხვედრითი ინვესტირება ჭირდება) 1,5-2,0 ცენტ/კვ.სთ-ს არ გადააჭარბებს. კონკურენტუნარიანი დარჩება, აგრეთვე, ყოფილი „თბილსრესის“ ენერგობლოკების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის შემდეგ ბაზისური ენერგიის მიწოდების ფასი 3,0 ცენტ/კვტ. სთ-ის რიგის იქნება.

ამგვარად, სანამ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება სარეაბილიტაციო შესაძლებლობებს არ გადააჭარბებს და თანაც ენერგიის იმპორტის ფასი 5 ცენტ/კვტ. სთ-ზე მეტი არ გახდება (ამჟამად ეს ფასი 2,5 ცენტის რიგისაა, შემდგომში კი 3,0-3,5 ცენტამდე შეიძლება გაიზარდოს), ახლად აშენებული სადგურები უაღრესად საზარალო ობიექტები იქნებიან.

რაც შეეხება წინა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ენერგოსისტემის პოტენციალს, იგი უაღრესად მნიშვნელოვანია.

ენერგოსისტემის წამყვანი კომპონენტი, ჰიდროენერგეტიკა (2800 მეგ-მდე ჯამური დადგმული სიმძლავრით) სრული რეაბილიტაციის შემდეგ წლიურად 9 მილიარდ კვტ. სთ-ს გამოიმუშავებს (ახლანდელი წლიური 5-6 მილიარდის ნაცვლად). რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის შემდეგ ერთიანი კომპლექსის ეფექტური კომპონენტი გახდება „AES-მტკვარისა“ და „თბილსრესის“ 1000-1200 მეგ-მდე ჯამური თბური სიმძლავრეც. შედეგად საქართველოს ენერგოსისტემას რეგიონში კონკურენტუნარიანი საშუალო შეწონილი ფასით (მაღალი ძაბვის საბითუმო ბაზარზე 2,0-2,5 ცენტ/კვტ. სთ-ის დონეზე) წლიურად 16-17 მილიარდამდე კვტ. სთ-ის მიწოდება შეეძლება, რაც ენერგორესურსების მოხმარების ოპტიმალური სტრუქტურის პირობებში (თბომომარაგებაში ბუნებრივი აირის წამყვანი როლით) ელექტროენერგიაზე 2015 წლის სავარაუდო მოთხოვნილებას აჭარბებს.

ამგვარად, საქართველოს ელექტრომომარაგების გაუმჯობესებისა და ერთდროულად პერსპექტიული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველაზე რაციონალური (პრაქტიკულად უალტერნატივო) გზა ბოლო ათწლეულის დასაწყისიდანვე მკაფიოდ იყო განსაზღვრული.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ათწლეულის მანძილზე ენერგეტიკულ სიმძლავრეთა რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სფეროში ქვეყანაში არც ერთი ეფექტური პროექტი არ განხორციელდა.

ასეთი პროექტის მაგალითად არ გამოდგება „თბილსრესის“ მეცხრე და მეათე ენერგობლოკების მართვის სისტემის აღდგენა, რომელზეც ენერგეტიკის სფეროში მიღებული უცხოური კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯა (80 მილიონ დოლარამდეა ათვისებული 130 მილიონიდან).

ახალი, ფაქტიურად ექსპერიმენტული მართვის სისტემის შექმნა საკუთარი საიმედო მართვის სისტემის განახლებასთან შედარებით 5-7-ჯერ უფრო ძვირი დაჯდა. თანაც მისმა ტექნიკურმა არასრულყოფილებამ (შემოსული ინვესტორის მენეჯმენტის არადამაკმაყოფილებელ დონესთან ერთად) მეათე ენერგობლოკის აფეთქება და გაურკვეველი ვადით გათიშვა განაპირობა.

არაფერი გაკეთდა „თბილსრესის“ ძველი ენერგობლოკების აღდგენადი ნაწილის რეაბილიტაციისთვის. შედეგად ძველი „თბილსრესი“ (ქვეყანაში ბაზისური ენერგიის ერთადერთი წყარო), აფეთქებული ახალი და დეგრადირებული ძველი ენერგობლოკებით, დღეს საკუთარ აჩრდილს დაემსგავსა.

უკეთესი სურათი არც ჰიდროენერგეტიკაში გვაქვს. გაუმართლებლად გაჭიანურდა ჩვენი ენერგეტიკის ფლაგმანის ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, რამაც ქვეყანას მოკლე ვადებში ელექტრომომარაგების მკვეთრი გაუმჯობესების შესაძლებლობა დააკარგვინა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტურობის დემონსტრაციის თვალსაზრისით, პირველ რიგში, ენგურჰესის კაშხლის 1994 წელს მწყობრიდან გამოსული მისაყრდნობი ფარების სისტემის აღდგენა უნდა აღინიშნოს. სისტემის აღდგენის ღირებულება თავიდან 2,5 მილიონ დოლარად შეფასდა, შემდგომში კი ამ ციფრმა 5 მილიონს მიაღწია. სისტემის მწყობრიდან გამოსვლით გამოწვეული გამომუშავების წლიურმა დანაკარგმა 300-400 მილიონი კვტ.სთ. შეადგინა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ველოდებოდით ათეული წელი დამბლადაცემული ენერგოსისტემისათვისაც კი საკმაოდ მცირე თანხის გარედან მიღებას (ამჟამად ამ მიზნით შვეიცარიის გრანტი არის გამოყოფილი), როცა სისტემის აღდგენის შედეგად დარგის პროდუქციის ნაზარდი (მომხმარებლის ახლანდელი ტარიფის დონეზე) წლიურად 15 მილიონ დოლარს აჭარბებდა, ხოლო გასული 9 წლის მანძილზე ენერგიის დანაკარგმა 3 მილიარდ კვტ.სთ-ს მიაღწია (რაც ელექტროენერგიის ახლანდელ ჯამურ საგარეო ვალზე მეტია).

დიდი დანაკარგი განიცადა ქვეყანამ ენგურის კასკადის ძირითადი ჰესის რეაბილიტაციის დაწყების სრულიად გაუმართლებელი გაჭიანურების გამო.

ხელშეკრულება ევრობანკის კრედიტის ბაზაზე ენგურის კასკადის რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე (ძირითადი ჰესის რეაბილიტაციაზე) საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წელს იქნა რატიფიცირებული, თუმცა ხელშეკრულების დადება უფრო ადრეც შეიძლებოდა.

პროექტის რეალიზაციის დაწყება, სამწუხაროდ, საქართველოს მხრიდან დაშვებული ორგანიზაციული გაუგებრობების გამო ამის შემდგომაც ვერ მოხერხდა. შედეგად ხელშეკრულებას გადაკეთება და ხელახალი რატიფიკაცია დასჭირდა, რაზეც კიდევ 4 წელი დაიხარჯა.

პროექტის რეალიზაცია ამჟამად უკვე დაწყებულია. მისი საინვესტიციო მოცულობა დაახლოებით 50 მილიონი დოლარია. ჰესის ჰიდროტექნიკური, ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური კომპონენტების რეაბილიტაციისა და მწყობრიდან გამოსული აგრეგატებისა და კვანძების განახლების შედეგად (ფარების ხსენებული სისტემის აღდგენის ჩათვლით) ქვეყნის ენერგობალანსს წლიურად 1,0 მილიარდამდე კვტ.სთ შეემატება.



პროექტის განხორციელება, ცხადია, გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფსაც გაზრდის, თუმცა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა მაღალი ეფექტურობის გამო ეს ზრდა მინიმალური იქნება, კერძოდ, ჰესის სალტეებიდან ენერგიის მიწოდების ტარიფი მხოლოდ 1,5 ცენტ/კვტ.სთ-მდე აიწევს, რაც ევრობანკთან დადებულ სასესხო ხელშეკრულებაშიც არის დაფიქსირებული.

ასევე ეფექტურია საქართველოს სხვა ჰესების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პოტენციალი და ასევე სავალალოა ჩამორჩენა მისი რეალიზაციის მიმართებით.

ასეთ საერთო სიტუაციას დამატებით თვისობრივად ამძიმებს ის გარემოება, რომ ამავე პერიოდში ხელისუფლების საქმიანობა გაცილებით უფრო შედეგიანი სწორედ ქვეყნისათვის საზარალო ახალ მშენებლობათა პროექტების განხორციელების სფეროში აღმოჩნდა.

საქართველოს საინვესტიციო კლიმატმა, სამწუხაროდ, იმდენად სპეციფიკური სახე მიიღო, რომ ზოგიერთი უცხოელი კერძო ინვესტორი ქვეყნისათვის საზარალო პროექტებით დაინტერესდა. ამასთან, რატომღაც, ასეთ ინვესტორს, კლასიკურისაგან განსხვავებით, დიდად არ აღელვებს ბაზრის კონიუნქტურა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების პრობლემა.

ის უბრალოდ მოითხოვს ასაშენებელ საწარმოში გამოსაშვები, უაღრესად ზარალიანი (შიგა და რეგიონალურ ბაზართან შედარებით 2-3-ჯერ უფრო ძვირი) პროდუქციის სრული შესყიდვის გარანტიას და ღებულობს კიდეც.

ასეთებია ხადორის ჰიდროელექტროსადგურისა და ტყიბულის თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტები.

ახლად აშენებული 24 მეგ. სიმძლავრის ხადორჰესის გაშვება მიმდინარე წლის ბოლოს არის დაგეგმილი. ჰესის წლიური გამომუშავება 114 მილიონი კვტ.სთ-ია, ინვესტიციები — 28 მილიონ დოლარამდე (შეადარეთ ენგურჰესის ფარების სისტემის აღდგენაში 5 მილიონი დოლარის ინვესტირებით გამომუშავების წლიური 300-400 მილიონი კვტ.სთ-ით გაზრდას ან მთლიანობაში ენგურჰესზე 50 მილიონი დოლარის ინვესტირებით წლიურად დამატებითი 1,0 მილიარდამდე კვტ.სთ-ის მიღებას).

როგორ გადაწყდა ახლად აშენებული ხადორჰესის პროდუქციის სიძვირისა და მისი შიგა და რეგიონალურ ბაზარზე კონკურენტუნარობის პრობლემა?

უაღრესად მარტივად. ინვესტორისა და საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს (ელექტრობაზარს) შორის დაიდო „ენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც ელექტრობაზარმა ვალდებულება აიღო მთლიანად შეისყიდოს ჰესის წლიური 114 მილიონი კვტ. გამომუშავება, ფასით 4,66 ცენტ/კვტ.სთ (თუნდაც იმავე დროს უარი თქვას არსებული ჰესების ოთხჯერ იაფ ენერგიაზე ან ორჯერ იაფ იმპორტზე).

ამგვარად, უკვე მომავალი თვიდან ელექტრობაზარი მიღებული ენერგიისათვის ხადორჰესისათვის წლიურად 5,3 მილიონ დოლარამდე თანხის გადახდას დაიწყებს (საშუალოდ მილიონ ლარამდე თვეში). წლიური ზარალი საკუთარი ჰესების საშუალო შეწონილი ფასით შესყიდვის ვარიანტის მიმართ 4 მილიონ დოლარს მიუახლოვდება, ხოლო რუსეთიდან იმპორტის ვარიანტის მიმართ — 2,5 მილიონ დოლარს.

ამასთან, რამდენადაც ქვეყანაში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი დონის გამო ელექტრობაზარი საქართველოს ჰესებს თვიურად 1,5 მილიონ ლარსაც კი არ უხდის, ხადორჰესისათვის თვიური მილიონი ლარის სავალდებულო გადახდა ჰესებისათვის ენერგიის საფასურის გადახდის პროცესს მთლიანად მოშლის. შეიქმნება აბსურდული სიტუაცია, როცა მოკრძალებული მასშტაბის ჰესი გიგანტ ენგურჰესზე ორჯერ მეტ თანხას მიიღებს! გაჭირდება ენერგოსისტემის მიერ ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსებაც, რაც ამ სამუშაოთა შემდგომ გაჭიანურებას შეუწყობს ხელს.

ხსენებული შედეგების ფონზე ადვილი წარმოსადგენია, რა კატასტროფულ ზარალს მოუტანს ქვეყანას 10-ჯერ უფრო მძლავრი „ტყიბულთესის“ პროექტი, რომლისთვისაც ელექტრობაზარმა ანალოგიური ვალდებულება იკისრა (იმ განსხვავებით, რომ ხადორჰესის 114 მილიონი კვტ.სთ-ის ნაცვლად საუბარია 1,7 მილიარდი კვტ.სთ-ის შესყიდვაზე, თანაც კვტ.სთ-ში 4,65 ცენტის ნაცვლად 5,3 ცენტის გადახდით).

ასეთ შემთხვევაში წლიური სავალდებულო გადახდა 100 მილიონ დოლარს მიაღწევს, საქართველოს ეკონომიკის მიერ მიღებული ზარალი კი (წლიურად მინიმუმ 40 მილიონი დოლარი) პირველივე წლის მანძილზე გადაფარავს ტყიბულის ნახშირის წარმოების რეაბილიტაციაზე პროექტით გათვალისწინებულ ინვესტიციებს.

აქ, ალბათ, ტყიბულის რეგიონის მეტად მნიშვნელოვან, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასაც უნდა შევეხოთ, რაც „ტყიბულთესის“ მშენებლობის დასაბუთებისას ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად გამოიყენება.

გასულ წლებში, სამწუხაროდ, საქართველომ არ გამოიყენა ტყიბულის წარმოების მოდერნიზაციის, ნაწილობრივი კონსერვაციისა და შესაბამისი სოციალური პრობლემების დარეგულირებისათვის ხელსაყრელი კრედიტის მიღების შესაძლებლობა, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ასეთი სახის სამუშაოებს მსოფლიო ბანკი პირველ რიგში აფინანსებდა. რუსეთსა და პოლონეთს, მაგალითად, ამ მიზნით ასეულობით მილიონი დოლარი გამოეყო და ტყიბულის წარმოებისათვის 10 მილიონი დოლარის კრედიტის მიღება მხოლოდ შესაბამისი სტრუქტურების აქტიურობასთან იყო დაკავშირებული.

სამწუხაროდ, ასეთი ძალისხმევა გასულ წლებში არ მომხდარა, გადაუწყვეტელი პრობლემა კი საზარალო პროექტის გამართლებისათვის არის გამოყენებული. ვფიქრობ, მსოფლიო ბანკიდან ხსენებული ტიპის კრედიტის მიღების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის დაკარგული.

ამგვარად, მთლიანობაში, ჩვენ გასულ ათწლეულში ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტის მთავარი მიმართულების ჩაგდება არ ვიკმარეთ და სიტუაცია დამატებით უაღრესად წამგებიანი პროექტების წინა პლანზე წამოწევითა და რეალიზაციით დავამძიმეთ (როგორც ჩანს, ეკონომიკის საბაზო კანონების საქართველოში ქმედითუნარიანობის შემოწმების მიზნით).

ამასთან, სანამ რაციონალური სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის განსაზღვრისა და გატარების ამოცანა გადაწყვეტილი არ არის, ანალოგიური ჩავარდნების საფრთხე კვლავაც რეალური რჩება.

ირაკლი შეყრილაძე,
პროფესორი, საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის საექსპერტო ჯგუფის წევრი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 12 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

№ ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი	პროდუქციის დასახელება	საერთო ღირ. ლარებში
№ 01/135; 12.11.03 წ.	კვების პროდუქტი	33 000.

• პენტაგონი რუსეთს უახლოვდება
• 10 ჩეჩენმა ტერორისტმა შეაღწია იაპონიაში
• ფოტოსახლის სენსაციური გამოფენა მოსკოვში

ამერიკელების მოკავშირე კავკასიაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ მარკ გროსმანმა საათნახევრიანი დაძაბული მოლაპარაკება გამართა კრემლში, რომლის დასრულების შემდეგაც მან განაცხადა, რომ ამერიკელთა გეგმები აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ სულაც არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ.

თუმცა, რუსეთის ოფიციალური პირები ასეთ განცხადებას დიდი ენთუზიაზმით არ გამოხმაურებიან. „ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის ჩვენს საზღვრებთან მოახლოების ნებისმიერი გეგმა სავსებით გასაგებ შეშფოთებას იწვევს ჩვენი მხრიდან“, — აღნიშნა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

გროსმანმა უარი თქვა დაედასტურებინა პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც აპირებენ ამერიკელები თავიანთი ბაზების განლაგებას, პოლონეთი და აზერბაიჯანი იგულისხმება.

თუმცა, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა საფარ აბიევმა არაორაზროვნად აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია, შესაძლოა, სიმართლეს შეესაბამებოდეს. „არ გამოვრიცხავ იმის შესაძლებლობას, რომ ეს საკითხი განიხილოს ჩვენმა მთავრობამ“, — დასძინა მან.

როგორც ბაქოდან იტყობინებიან, აზერბაიჯანში უკვე არაერთი წელია მიმდინარეობს მოლაპარაკება ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელთა ჯარების დაბანაკების პერსპექტივის შესახებ. ამ საკითხმა კვლავ მიიპყრო ყურადღება მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ბაქოს ვიზიტად ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი.

ორი წლის წინათ, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შეაჩერა აზერბაიჯანის წინააღმდეგ 1991 წელს შემოღებული ეკონომიკური სანქციების მოქმედება. სანქციების გაუქმებამ პენტაგონს მისცა საშუალება აემოქმედებინა საჰაერო დერეფანი აზერბაიჯანის ტერიტორიის თავზე და გამოეყენებინა ამ ქვეყანაში განლაგებული ყოფილი საბჭოთა სამხედრო აეროდრომები ავღანეთში ოპერაციების განხორციელების დროს.

პრესაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, ამ მომენტისათვის ამერიკელ სამხედროებს შესაძლებლობა აქვთ, აზერბაიჯანის ტერიტორიის თავზე განახორციელონ თავიანთი თვითმფრინავების კმაგაწყობა და ტექნიკური დათვალიერება, უზრუნველყონ საომარ მოქმედებებში მონაწილე ამერიკელთა ძალების მომარაგება აზერბაიჯანიდან სურსათით და სამედიცინო აღჭურვილობით.

ბაქოში რამსფელდის ვიზიტის წინ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლის მოადგილემ, გენერალმა ჩაკ უოლდმა განაცხადა, რომ ამერიკული სამხედრო ბაზები, შესაძლოა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც განლაგდეს.

„ამ ბაზებს შეუძლიათ შეასრულონ ძირითადი როლი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვაში“, — მიაჩნია გენერალს. მისი აზრით, ამერიკელთა ახალი ბაზები უფრო კომპაქტური და მობილური იქნება. თუმცა, ბაქოში გამართული მოლაპარაკების შემდეგ თვით რამსფელდმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით აზერბაიჯანში არ გაიხსნება ამერიკული ბაზები.

ამავე დროს, პრესაში ამ თემაზე გამოქვეყნებული ინფორმაციები კრემლის მტკივნეულ რეაქციას იწვევს. აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან რამსფელდის მოლაპარაკების დასრულებისთანავე, რუსეთის ელჩმა აზერბაიჯანში ნიკოლოზ რიაბოვმა მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ „ამერიკული ბაზების გახსნისაგან აზერბაიჯანი ვერ ნახავს ვერანაირ სარგებელს ვერც მილსადენის დაცვის და ვერც ყარაბაღის საკითხის მოგვარების საქმეში“.

ვაშინგტონი კი გულისტკივილს მარტო აზერბაიჯანში გაჭიანურებული კონფლიქტის გამო როდი გამოთქვამს. მაასტრიხტში ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ ეუთოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა მხარი დაუჭირა საქართველოსა და მოლდავეთის ტერიტორიულ მთლიანობას. მან მოუწოდა რუსეთს გაიყვანოს ჯარები ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან.

როგორც ჩანს, ბაქოშიც იმის იმედი აქვთ, რომ ამერიკელების სამხედრო ყოფნა აზერბაიჯანში ახალ იმპულსს მისცემს ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებას.

გასაყიდად გამოიტანეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხალიჩა

საუდის არაბეთში გასაყიდად გამოიტანეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხალიჩა.

ირანელმა ხალიჩებით მოვაჭრე ფაიზულა საფად-ზადამ ხალიჩების ქსოვის ხელოვნების ეს შედევრი ჩამოიტანა ქალაქ ისპაჰანიდან ჯიდში, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო გამოფენა. როგორც საფად-ზადამ თქვა, ამ ხელით ნაქსოვი ხალიჩის შექმნისათვის სამი წლის განმავლობაში შრომობდნენ საუკეთესო ირანელი ოსტატები.

მარტო ხალიჩის დიზაინისა და მასზე ამოქარგული ნახატის შექმნას, რომელზეც გამოსახულია ისპაჰანის ძველი მეჩეთის შიდა ეზო, ერთი წელი დასჭირდა. ხალიჩის ზომა ორი კვადრატული მეტრია.

იაპონიის ხელისუფლება შეშფოთებულია

„ორი თვის წინათ ათმა ჩეჩენმა მოთარეშემ შეაღწია იაპონიის ტერიტორიაზე ამ ქვეყანაში ტერორისტული აქტის განხორციელების მიზნით“, — ასეთი შემაშფოთებელი ინფორმაცია გამოაქვეყნა ჟურნალმა „სიუკან ბუნსიუნმა“ მას შემდეგ, რაც ამ გამოცემის თანამშრომლები შეხვდნენ და ესაუბრნენ იაპონიის სამთავრობო წრეების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და სამხედრო ექსპერტებს.

„იუსტიციის სამინისტროსთან დაკავშირებული“ ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციის თანახმად, ჩეჩენმა ამბოხებულებმა, რომლებსაც ჩვეულებრივ ტერორისტებს უწოდებდნენ, საიდუმლოდ შეაღწიეს იაპონიის ტერიტორიაზე და ქვეყნის ხელისუფლება ახლა ცდილობს მათ პოვნას. „ამ საიდუმლო სამძებრო ოპერაციის მიზანია ის, რომ რაც შეიძლება მალე აღმოაჩინონ და გააუვნებელყონ ჩეჩენ მოთარეშეთა გუნდი“, — აღნიშნავს წყარო.

ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტების შეღწევის შესახებ ცნობები იაპონიის სპეცსამსახურებმა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის უშიშროების სამსახურებისაგან, რომლებიც იაპონელ პარტნიორებს აფრთხილებდნენ მოახლოებული საშიშროების შესახებ, წერს გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“. „ეს ბიჭები ნამდვილი პროფესიონალები არიან. მათ, ალბათ, იაპონიაში ყალბი პასპორტებით შეძლეს შემოსვლა“, — აღნიშნავს იუსტიციის სამინისტროს წყარო.

იმავე სამინისტროს მეორე წყარო კი განმარტავს: „თავდაპირველად, ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციაში ხაზგასმული იყო, რომ ტერორისტთა თავდასხმების ობიექტები, შესაძლოა, გახდეს რუსეთის საელჩო ტოკიოში და გენერალური საკონსულოები ოსაკასა და საპოროში. მაგრამ მოგვიანებით კიდევ უფრო შემაშფოთებელი ცნობები მივიღეთ“. წყარო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ტერორისტთა ჯგუფი 10 კაცისაგან შედგება. „ნებისმიერი სამხედრო ექსპერტი გეტყვით, რომ 10 კაცი ის მინიმალური რაოდენობაა, რომელიც საჭიროა საბრძოლო ერთეულის ჩამოსაყალიბებლად, — დასძენს წყარო. — ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითქმის ყველა ჩეჩენ მოთარეშეს ჩინებული სამხედრო მომზადება აქვს გავლილი“.

სამხედრო კომენტატორი ტაისეი უგაკი აზუსტებს, რომ ასეთი საბრძოლო ერთეულის ყოველი წევრი თავდასხმის დროს გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. „ერთი მეთაურობს რაზმს, მეორე პასუხს აგებს აფეთქებების ორგანიზებისათვის, სხვები კი უზრუნველყოფენ კავშირს და კონტრაბანდული გზით შემოტანილი იარაღისა და ტყვიაწამლის მიღებას, — განმარტავს იგი. — ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ რა მიზანს ისახავენ ეს ადამიანები და ამიტომაც, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეგვიძლია“. იაპონიის ხელისუფლების შეშფოთებას ისიც იწვევს, რომ ჩეჩენ მოთარეშეებს აქვთ კავშირი „ალ-ყაიდასთან“, წერს იაპონური გაზეთი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ალ-ყაიდამ“ შეგზავნა ჩეჩნეთში თავისი ინსტრუქტორები, რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ მოთარეშეებს რუსეთის მოქალაქეებზე თავდასხმების ორგანიზებაში.

ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების შემდეგ დაიღუპა 449 ამერიკელი

ერაყში საომარი მოქმედების დაწყების მომენტიდან ამ ქვეყანაში დაიღუპა 449 ამერიკელი, 309 მათგანი დაიღუპა მოწინააღმდეგის თავდასხმების შედეგად, 140 სამხედრო მოსამსახურე კი უბედურმა შემთხვევებმა იმსხვერპლეს. გარდა ამისა, დაიჭრა 2567 სამხედრო. ასეთი მონაცემები გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ.

პენტაგონის ინფორმაციით, 1 მაისის შემდეგ, ანუ როცა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა ერაყში საომარი ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულების შესახებ, ამერიკელებმა მოკლულების სახით ამ ქვეყანაში დაკარგეს 311 კაცი. აქედან 194 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა მოწინააღმდეგის მოქმედების შედეგად, 117 კი — უბედური შემთხვევების გამო.

ამავე პერიოდში მოკლეს 52 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე, 17 — იტალიელი და 8 — ესპანელი. დანიამ, უკრაინამ და პოლონეთმა თითო სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს.

ამერიკაში დააპატიმრეს „ალ-ყაიდასთან“ კავშირში ეჭვმიტანილი პირი

ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ მინეაპოლისში დააპატიმრეს „ალ-ყაიდასთან“ კავშირში ეჭვმიტანილი პირი.

როგორც იტყობინებიან, დაკავებულებს შეუძლიათ მისცენ სამართალდამცავებს ინფორმაცია მაროკოელი წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქის ზაქარია მუსაუის შესახებ, მუსაუი ერთადერთი პირია, რომლის წინააღმდეგაც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით აღძრულ საქმეს ამჟამად არჩევს ამერიკის სასამართლო.

მუსაუიმ აღიარა, რომ არის „ალ-ყაიდას “ წევრი და განაცხადა, რომ აპირებდა გაევლო პილოტების მოსამზადებელი კურსები 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაგეგმილ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობისათვის.

იმასაც იტყობინებიან, რომ ამჟამად დაკავებულ პირს შეეძლო მიეღო მონაწილეობა უსამა ბენ ლადენის ტერორისტული დაჯგუფების — „ალ-ყაიდას“ მოთარეშეების მომზადებაში.

ჯერჯერობით არ ახმაურებენ დაკავებულის ვინაობას და მასთან დაკავშირებულ რაიმე სხვა ინფორმაციას. ცნობილია მხოლოდ ერთი რამ: დაკავებული პირი ამერიკელი არ არის.

მარჯვნივ და ოდნავ უკან

მოსკოვის ფოტოსახლი ამზადებს სენსაციურ გამოფენას, რომელიც ლავრენტი ბერიას მიეძღვნება. მართალია, გრძელდება მუშაობა გამოფენის მომზადებისათვის, მაგრამ ჩვენ ვეცდებით წინასწარ გაგაცნოთ კოლექცია, რომელიც დაცულია კრასნოგორსკის არქივში.

ზუსტად 50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დახვრიტეს ბერია. ამ დროის განმავლობაში ბერიას სახემ საოცარი მეტამორფოზა განიცადა.

თუ თქვენ კარგად დააკვირდებით ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია ბერია, გაოცდებით. იგი არასდროს არ იღებდა სურათს მარტო, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, პასპორტისთვის გადაღებულ ფოტოებს. აი, ერთ სურათზე იგი აღბეჭდილია სტალინის ქალიშვილთან — სვეტლანასთან ერთად, მეორეზე — ამხანაგების ჯგუფთან. იქნებ, ამ კაცს ეშინოდა მარტოობის, ან იქნებ სურდა ხაზი გაესვა, რომ იგი ერთადერთი არ

იყო, ყოველთვის კოლექტივში ტრიალებდა. აქ კიდევ ერთი რამ არის საინტერესო: თუ ბერია ფოტოსურათზე აღბეჭდილია სტალინის გარემოცვაში, ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სურათზე სტალინის გვერდით არიან, პერიოდულად იცვლებიან, ბერია კი — უცვლელია. იგი ყოველთვის ბელადისაგან მარჯვნივ და ოდნავ უკან დგას.

და კიდევ ერთი საფირმო დეტალი — წელიწადის პრაქტიკულად ნებისმიერ დროს მას ახურავს თავისი ცნობილი შლაპა. ტანზე კარგად აქვს მომდგარი უნაკლოდ შეკერილი კოსტიუმი და ყველასათვის ნაცნობი და თვალშისაცემი დეტალი — მისი პენსნე. თვალები არ მოჩანს, მხოლოდ მინები ბრწყინავს, თითქოს გეუბნებიან: არ მშინავს, ყველას კარგად გხედავთ. ერთი სიტყვით, თუ ბერიას განვიხილავთ როგორც ობიექტს, შეიძლება აღმოვაჩინოთ მრავალი პარადოქსული რამ — არა მონსტრი და ურჩხული, არამედ დახვეწილი ადამიანი, ცბიერი პოლიტიკოსი.

და იქნებ, ამ ავბედითი ფიგურისადმი ჩვენი ასეთი დიდი ყურადღება არის იმის კიდევ ერთი მცდელობა, რომ თავი დავაღწიოთ საკუთარ შიშს. ხომ გსმენიათ, ხშირად ამბობენ: იმისთვის, რომ აღარ გეშინოდეს ჩონჩხის საკუთარ კარადაში, ხშირად უნდა ათვალიერო იგი.

ოლგა სვიბლოვა,
მოსკოვის ფოტოსახლის დირექტორი.
„ოგონიოკი“,
2003 წლის 8-14 დეკემბერი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 334, პარასკევი, 12 დეკემბერი, 2003 წელი.

ღვაწლი

20 დეკემბერს 70 წელი უსრულდება გამოჩენილ მეცნიერსა და პედაგოგს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანს, ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების კათედრის პროფესორს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ მგელაძეს.

პროფესორი ზურაბ მგელაძე — მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე

ზურაბ მგელაძე დაიბადა 1933 წელს ქალაქ თბილისში, 1952 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1957 წელს კი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1958 წლიდან. მუშაობდა ტრესტ „საქნავთობის“ სისტემაში ჯერ კოლექტორად, შემდეგ ინჟინერ-გეოლოგად ნავთობის საბადოებზე. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი ინტენსიურად იღრმავებდა თეორიულ ცოდნას, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია მაშინდელ ხელმძღვანელობას და, როდესაც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ნავთობისა და გაზის ძიებისა და ბურღვის კათედრა, იგი პირველ ასპირანტად ჩარიცხეს. ასისტენტობიდან ამ კათედრის გამგეობამდე, გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანობიდან სამთო-გეოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორობამდე — ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება მისი სამეცნიერო-პედაგოგიური კარიერა. 1996 წლიდან იგი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანია. 1992 წელს წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში.

პროფესორი ზ. მგელაძე აღიარებული სპეციალისტია ნავთობისა და გაზის გეოლოგიის დარგში. მისი კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მეზოკაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება. მან თავის ფუნდამენტურ შრომებში შემოქმედებითად და არსებითად გააშუქა საქართველოს რიგი ტერიტორიების სტრატიგრაფიის, ზედაპირული და სიღრმული ტექტონიკური აგებულების, ნავთობგაზწარმოშობის, ნავთობგაზდაგროვებების კანონზომიერებანი და მრავალი სხვა საკითხი. ის მეცნიერული მიმართულებანი, რომლებშიც მან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა, აღიარებულია სპეციალისტების მიერ. საგაზეთო წერილში მათი ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელიც კი არის. მაგრამ აუცილებლადაა სათქმელი, რომ მისი უნიკალური რეკომენდაციებითა და წინადადებებით ეროვნულ კომპანია „საქნავთობის“ საკვლევ მოედნებზე დაიგეგმა და ამოქმედდა საძიებო ჭაბურღილები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნულ ეკონომიკაში.

იუბილარის დიდ მეცნიერულ მიღწევათა შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიის მთათაშუა ღრმულში ორგანული ნივთიერებების და ნახშირწყალბადების გეოქიმიური და თერმობარული გარემოს შესწავლა, მის ფარგლებში ნავთობისა და გაზის საბადოების ფორმირების, ნავთობგეოლოგიური დარაიონების და პერსპექტიული სტრუქტურების პროგნოზირების რუკების შედგენა და ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის დადგენა, რაზედაც დაფუძნებულია შემდგომი ძებნა-ძიებითი სამუშაოების წარმართვა.

მეცნიერის დიდი წვლილი თვალნათელია ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებაში. წლების მანძილზე იყო „საქნავთობის“ ნავთობისა და გაზის მოპოვების სამმართველოს კონსულტანტი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, „საქნავთობისა“ და კომპანია „რამკოს“ დამფუძნებელი საბჭოს მრჩეველი. მისი უშუალო მონაწილეობითა და კონსულტაციებით საქართველოში საძიებო სამუშაოები განავითარეს „ფრონტერასა“ და „რამკოს“ კომპანიებმა.

ყველა ამ მიღწევას იუბილარი უმადლის მის მასწავლებლებს — ცნობილ გეოლოგებს, რომლებიც იდგნენ საქართველოს ნავთობის გეოლოგიის განვითარების სათავეებში — პროფესორებს ალექსანდრე ლალიევსა და ევგრაფ ვახანიას, რომელთა საქმის ღირსეული გამგრძელებელია იგი დღეს.

1996-2000 წლებში ზურაბ მგელაძე „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის“ ვიცეპრეზიდენტია, „საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს“ უფროსის მოადგილეა.

2001 წლიდან დღემდე შეთავსებით მუშაობს მთავარ მრჩევლად „ანადარკო ჯორჯიან კომპანიაში“, რომელიც საძიებო სამუშაოებს ატარებს საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში.

იუბილარი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო და პროფესორთა საბჭოს წევრი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგების სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, ამერიკის მენავთობე-გეოლოგთა, საქართველოს გეოლოგიური და საერთაშორისო გეოთერმული, მსოფლიოს „მათემატიკური გეოლოგიის“ ასოციაციათა წევრია; არჩეულია მინერალური რესურსების საერთაშორისო, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, ეროვნული ენერგეტიკის და ეროვნული აკადემიების წევრად.

ზურაბ მგელაძე ავტორია 80 სამეცნიერო შრომის, რომელთა შორის 4 მონოგრაფიაა.

ბატონ ზურაბს მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები აქვს მრავალი ქვეყნის ნავთობის მრეწველთა საზოგადოებებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან.

იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ყოფილი საბჭოთა კავშირის და უცხოეთის, კერძოდ, აშშ, ინგლისელ და იაპონელ კოლეგებს შორის.

და ბოლოს, ბატონი ზურაბი, როგორც პიროვნება, საოცრად თბილი, გულისხმიერი და თავმდაბალია. იგი და მისი ძმა მერაბ მგელაძე ცნობილი სპორტსმენი და მოღვაწე — ჭეშმარიტი ქალაქელები, ყველა თაობაში პოპულარული პიროვნებები არიან.

1998 წელს ზურაბ მგელაძე დამსახურებულად დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონ ზურაბის მეუღლე დოდო მამფორია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალამაზებს მის ცხოვრებას, დიდ სიხარულთან მისი ოჯახი დიდ ტკივილსაც ატარებს... მაგრამ დღეს ამაზე არ ვისაუბრებთ.

ვუსურვებთ ღირსეულ მეცნიერს, პედაგოგსა და მოქალაქეს ზურაბ მგელაძეს დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას, წარმატებებს, სიხარულს იმის შეგნებით, რომ იგი სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ოჯახს, ჩვენს ახალგაზრდობას.

რამაზ ხუროძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

რეზო თევზაძე,
სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ნანა ხუნდაძე,
სტუ-ს „ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების“ კათედრის გამგე, პროფესორი.

ფინანსები

30 ნოემბერი, 2003 წელი.

ინფორმაცია საქართველოს საგარეო ვალის შესახებ

№	[illegible]	[illegible]	[illegible]		
			[illegible]	[illegible]	[illegible]
	[illegible]			1,812,871	3,978,188
	[illegible]			963,315	2,109,222
1	[illegible]	[illegible]	390,934	562,457	1,229,590
2	[illegible]	[illegible]	92,000	108,541	239,983
3	[illegible]	[illegible]	4,083	5,762	12,619
4	[illegible]	[illegible]	198,888	286,314	627,323
	[illegible]			755,000	1,653,449
1	[illegible]	[illegible]	78,272	93,210	204,173
2	[illegible]	[illegible]	16,190	16,190	35,455
3	[illegible]	[illegible]	258,943	258,943	567,086
4	[illegible]	[illegible]	54,338	54,338	119,000
5	[illegible]	[illegible]	12,836	12,836	28,089
6	[illegible]	[illegible]	156,858	156,858	343,519
7	[illegible]	[illegible]	19,530	19,530	42,909
8	[illegible]	[illegible]	852	852	1,865
9	[illegible]	[illegible]	595	595	1,303
10	[illegible]	[illegible]	27,774	27,774	60,825
11	[illegible]	[illegible]	1,823	2,940	6,438
12	[illegible]	[illegible]	20,288	24,305	52,951
13	[illegible]	[illegible]	1,739,100	34,279	74,852
14	[illegible]	[illegible]	3,798	12,898	28,247
15	[illegible]	[illegible]	39,620	18,620	86,768
	[illegible]			44,797	107,117
1	[illegible]	[illegible]	45,768	54,490	119,116
2	[illegible]	[illegible]	40,266	40,366	88,180

შენიშვნა: ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო საგარეო ვალის დეპარტამენტი.

ხსოვნა გულისა

წყნეთში მეგობართან ყოფნისას გავიგე, რომ აქ ცხოვრობს კაცი, რომელიც გალაკტიონთან მუშაობდა მძღოლად. გადავწყვიტე ეს შემთხვევა არ გამეშვა ხელიდან და ბატონ არჩილ მღებრიშვილს მივაკითხე ინტერვიუსთვის. იგი ახლა 74 წლისაა და, ვინ იცის, მერამდენედ იხსენებს იმ პიროვნებას, ვისთანაც წლების წინ შეხვედრა არგუნა ბედმა.

ალბათ, ბევრმა ინტერვიუც ასე დაიწყო მასთან:



არჩილ მღებრიშვილი.

hfnjv ofesfmf ufkfrnbjyvf sfdbc v&qjkc888

— ბატონო არჩილ, როგორ შეხვდით გალაკტიონს?

— 1956 წელს შევხვდი. ჩემზე უთხრეს, კარგი მძღოლიაო და, იმანაც ამიყვანა. თან გამაფორმა, რომ სტაჟი არ დამკარგვოდა. საკუთარი მანქანა ჰყავდა — „ტენტიანი“ „პობედა“, რომელიც მახსოვს — 05-58 ГРХ. თვეში 100 მანეთს მიხდიდა. დილიდან საღამომდე ვემსახურებოდი. ადრე, მძღოლად ვინც ჰყავდა, „ხალტურაზე“ დადიოდა თურმე, ამიტომ საღამოობით მანქანას არ მაძლევდა. მაშინ მარჯანიშვილის №4-ში ცხოვრობდა, იქვე ვტოვებდი მანქანას. ზაფხულში სულ აქ იყო ხოლმე — ზემო წყნეთში. ის სახლი ახლაც დგას.

— რაზე საუბრობდით ხოლმე?

— ყველაფერზე... ხშირად მეუბნებოდა, მწერალთა კავშირში და მთავრობაში არავის ვუყვარვარო. ისე, გოგლა ლეონიძესთან კარგად იყო.

ერთხელ ასეთი რამ მიამბო: „3 თვის მოყვანილი მყავდა ცოლი (ოლია ოკუჯავა). ღამის ორი საათი იქნებოდა, ვიღაცა აბრახუნებს კარზე. ვინა ხართ-მეთქი, ვკითხე. უშიშროებიდან ვართ, ბრძანება გვაქვს, უნდა წაგიყვანოთო. ჩავიცვით მე და ჩემმა ცოლმა და წაგვიყვანეს. ჩაგვყარეს ცალ-ცალკე ვაგონებში და ამოვყავით თავი მოსკოვში. დავწერე წერილი სტალინთან და გადავაგდე ვაგონიდან. ქალის ფეხის ხმა მომესმა და იმას ვთხოვე, ეს წერილი სტალინის ფოსტაში ჩააგდეთ-მეთქი. გავიდა რამდენიმე დღე. მოვიდნენ, გალაკტიონი რომელი ხართ, სტალინი გიბარებთო. ასე მიმიყვანეს სტალინთან. მან ვიღაცას უსაყვედურა ჩემი დაპატიმრების გამო და მითხრა, თავისუფალი ხარო. ჩემი მეუღლეც დაპატიმრებულია-მეთქი. მერე გაარკვიეს: დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ თქვენი მეუღლე დაიღუპაო (ეს სიმართლე არ იყო). სტალინმა თავისი ტელეფონი მომცა, თუ კიდევ შეგაწუხონ დამირეკე, ნუ გეშინიაო. იმ დღიდან დავიწყე სმა“.

ბოლოს მე მომმართა, ალბათ შენც ასე მოიქცეოდი...

— ამბობენ, ხშირად სვამდაო.

— კი, კონიაკი უყვარდა სამარსკვლავიანი. თუ არ დათვრებოდა, ისე ლექსს ვერ წერდაო, რომ იძახიან, ეგ ტყუილია. ერთხელ ირაკლი აბაშიძემ (მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო) გამაფრთხილა: ეცადე, რომ ააცდინო იმ ჯიხურებს, სადაც სვამს ხოლმეო. დილით მივედი და წამოვედით. ხელებს იფხანდა ხოლმე და მე მიყურებდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ გააჩერე, უნდა დავლიოო. სახლთან ახლოს ჯიხურთან არ გავაჩერე. წყნეთში მეტი ჯიხური არ იყო. ბაგებში ჩამოვედით, არ გავაჩერე (აბაშიძემ დამარიგა, ვითომ არ გესმისო). ახლანდელ ფილარმონიასთან რომ ჩამოვედით, საჭეს წაავლო ხელი, შენ ყრუ ხომ არა ხარო?! მე ვუთხარი, ვასილიჩ, ამ ყურიდან არ მესმის-მეთქი, ტყუილი ვთქვი. თუ არ გესმის, ვინ მოგცა შენ მართვის მოწმობაო? მერე გამოვუტყდი, არ მინდოდა, რომ დაგელიათ-მეთქი. ირაკლი აბაშიძე არ მიხსენებია.

— კიდევ რას გაიხსენებთ, ბატონო არჩილ?

— ვერის ბაზარში დავდიოდით ხოლმე. შესანიშნავი მეუღლე ჰყავდა — ნინა, იმან დამავალა რაღაც პროდუქტები. ვიყიდეთ ყველაფერი და ბოლოს გალაკტიონს უნდა ეყიდა კომბოსტო. ერთი დიდი პორტფელი ეჭირა ხელში. თურმე იმ დღეს აულია 500 მანეთი და ფული შიგ უდევს. გამოიტანა კომბოსტოც და წავედით. წყნეთში რომ შემოვედით, მეუბნება, მუზა მომივიდა, გაღმა ტყეში გამიყვანეო. ჩვენ „საირმის ტყეს“ ვეძახით. ვუთხარი, ვასილიჩ, ტყემდის მიგიყვან, მაგრამ გაღმა ვერ გაგიყვან, იმიტომ რომ ხევია და გზა არ არის-მეთქი. და, ამ დროს, ცოტა წამითაქა, მუზა მომივიდა და შენ უარს მეუბნებიო. ხმა არ გავეცი და გავაგრძელე გზა. ხევთან რომ მივედით, ვეუბნები, გადაგაგდო ახლა ხევში-მეთქი? შეხუმრებულები ვიყავით. მერე გადამეხვია, მაკოცა. მაპატიე, მე მეგონა გეზარებოდაო. გზა არ იყო და სად წამეყვანა? რომ მოვბრუნდით, მერე მითხრა შალიკოსთან წავიდეთ (წყნეთში რესტორანი იყო) და შერიგების მაღარიჩი დავლიოთო. ფულის გადახდის დრო რომ დადგა, ნახა პორტფელი აღარ აქვს. თურმე დარჩა კომბოსტოს გამყიდველთან. აბა, ჩქარა, წავიდეთო. ერთი გორელი კაცი იყო გამყიდველი, გალაკტიონი მღვდელი ჰგონებია და რომ დაინახა, დაიწყო ყვირილი: მამაო, მამაო, თქვენი პორტფელი აქ არისო. გალაკტიონს გაეცინა, გამოართვა პორტფელი, ჩუმად გახსნა, ნახა, რომ ფული ისევ შიგ არის და ჰკითხა: კომბოსტო სულ რაცა გაქვთ, რამდენისა იქნებაო? — დაახლოებით 50 მანეთისაო — უთხრა გამყიდველმა. მერე, შე მამაცხონებულო, აქ 500 მანეთი იდო, აგელო ეს ფული და წასულიყავიო. მაშინ ბევრი იყო წესიერი ადამიანი. მე ვუთხარი, ვასილიჩ, რამე მიეცით-მეთქი. არაო, უარი მითხრა.

— მანქანაში ყოფნისას თუ წერდა ხოლმე რამეს, მუზა როცა მოსდიოდა?

— ვთქვათ, ვლაპარაკობთ, უცებ ვხედავ გამოითიშა. აიღებდა ბლოკნოტს და წერდა. მერე მეტყოდა, რა თქვიო? დილით ტყეში უყვარდა ყოფნა. სანამ მე მივდიოდი, სულ ტყეში იყო. ნაბადი ჰქონდა ხოლმე მოსხმული და თავისთვის ბუტბუტებდა.

— რატომ წამოხვედით მისგან?

— ბოლო 10 თვე ხელფასს ვეღარ მაძლევდა. ვალები ჰქონდა. მითხრა, გავყიდოთ ეს მანქანა და ფულს მოგცემო. 1200 მანეთი გვაძლიეს. მერე მე ვუთხარი, 1000 მანეთი ხომ გმართებს, 200-საც დაგიმატებ და მე მომეცი-მეთქი, ცოლმა უთხრა, ხომ კარგი მძღოლი იყო, აჩუქეო. გალაკტიონმა რას ამბობ, 200 მანეთად იცი რამდენი კონიაკი მოვაო? გადავიხადე ფული და დავიტოვე მანქანა... თითქმის 5 წელი ვიყავი გალაკტიონთან.

— მერე გქონდათ ურთიერთობა?

— არა, მისი რეკომენდაციით შემდეგ ოთარ თაქთაქიშვილის მძღოლი ვიყავი. წყნეთში, როცა ამოდიოდნენ გალაკტიონის მეუღლე ნინა და მისი შვილები (ქალ-ვაჟი ჰყავდა), ოჯახში მივდიოდი ხოლმე. მაშინ გალაკტიონი აღარ იყო ცოცხალი. ძალიან კარგი ქალბატონი იყო ნინა, ისიც გარდაიცვალა. ახლა წყნეთში გალაკტიონის გერების შვილები და შვილიშვილები დადიან დასასვენებლად.

ნანული ზოტიკიშვილი.

თანამშრომლობა

ზრიად ექსტრემალურ ვითარებაში უხდება საქმიანობა შს სამინისტროს და მის ხელმძღვანელობას. ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს ორი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პროცესი: უაღრესად გართულებული კრიმინოგენური ვითარების უმოკლეს ვადაში დაძლევისათვის ბრძოლა და საკადრო ცვლილებები ყველა დონეზე, რომლის მიზანია შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის გაწმენდა კორუმპირებული, ძალადობასა და ადამიანთა უფლებების დარღვევაში შემჩნეული, ნარკომანი და უვარგისი მუშაკებისაგან. დრო არ ითმენს, მაგრამ არცერთი ეს მტკივნეული პრობლემა უცებ, ერთი ხელის დარტყმით არ გადაიჭრება. აჩქარებას, განსაკუთრებით კადრების შერჩევასთან დაკავშირებით, შესაძლოა, შეცდომებიც მოჰყვეს. უღირსი მუშაკი ნამდვილად ღირსეულმა პროფესიონალმა თუ არ შეცვალა, ვერც საქმეს ეშველება და ვერც პოლიცია აღიდგენს ხალხის ნდობას. კიდევ ერთი პრობლემა: რეალურად როგორ ებრძოლოს ქვეყანაში გამეფებულ კორუფციას თავად კორუფციაში მხილებული პოლიცია, თუკი პატიოსანი კადრებით დაკომპლექტების პარალელურად, რადიკალურად არ გაუმჯობესდა შს სამინისტროს დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, პოლიციის თანამშრომელთა რთული და სარისკო შრომის ანაზღაურება.

საზოგადოებრიობის მოთხოვნითა და თანადგომით

ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა შს ახლად დანიშნული მინისტრი გიორგი ბარამიძე, რომელსაც დიდი მონდომების, პოლიტიკური ნების, პირადი მამაცობისა და პატიოსნების გარდა, სიძნელეთა დასაძლევად აუცილებლად სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა, მისი რჩევების, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება.

ალბათ, ამიტომაც მინისტრი სიამოვნებით დათანხმდა ცნობილი პოლიტოლოგისა და პუბლიცისტის ჯანრი კაშიას მიერ შეთავაზებულ წინადადებას, სამინისტროში მიეწვიათ შს სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტში გაერთიანებული თვალსაჩინო მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, რომლებიც წარმოაჩენდნენ ქვეყანაში დღეისათვის შექმნილი სიტუაციის ანალიზს, კერძოდ, შს ორგანოების საქმიანობაში და თვით ამ სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრის თავიანთ შეხედულებას, გულახდილად ისაუბრებდნენ ნაკლოვანებებზე, კონკრეტულ თანამშრომელთა მიერ ჩადენილ კანონდარღვევებსა თუ დანაშაულებრივ უმოქმედობაზე. ასევე დააყენებდნენ ამ ნაკლოვანებათა და კანონდარღვევათა გამოსწორების წინადადებებს, რაც შს სამინისტროს ხელმძღვანელობას, პირადად მინისტრს დიდად წა- [illegible]

მა უპირველესად თანადგომისათვის დიდი მადლობა გადაუხადა იქ მოსულ მოღვაწეებს, რომლებიც, ისე როგორც მთელი საზოგადოებრიობა, გულით და სულით განიცდის ყველაფერ იმას, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, განიცდის როგორ განვითარდება მოვლენები, განიცდის, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა სტაბილურობა, კანონიერების დამკვიდრება, თავიდან იქნება აცილებელი თუ არა ქაოსი, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს ძალადობაში, რაც ბოლოს მოუღებს ჩვენს ოცნებებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თქვენს მიერ გამოთქმულ თითოეულ შენიშვნას, რჩევასა და წინადადებას, — განაცხადა მინისტრმა.

შენიშვნები და წინადადებები კი მართლაც ბევრი გაკეთდა: მწვავე, რადიკალური და კონსტრუქციულიც. შს სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა მამია დარჩიამ განაცხადა, რომ კიდევ უფრო გააქტიურდება ინსტიტუტთან არ- [illegible]

აცილების პრობლემები. პოლიტოლოგმა და პუბლიცისტმა ჯანრი კაშიამ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოების ურთიერთგაუცხოებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრაზე კატეგორიული წინადადებებით გამოვიდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი, თუმცა მათი რადიკალურობა სრულიად მისაღები გახდა შეხვედრაზე მოსული აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

პროფესორმა გელა ლეჟავამ მოითხოვა, უფრო ფრთხილად მოვეპყროთ ადამიანთა, მათ შორის, პოლიციის თანამშრომელთა კორუფციაში, ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დადანაშაულებას და სამსახურიდან მათი დათხოვნის კატეგორიულად მოთხოვნას, სანამ კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება ამ პირის დანაშაული.

გელა ლეჟავამ წამოაყენა წინადადება შს მინისტრთან შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც ღრმად შეისწავლის პრობლემურ საკითხებს და შემუშავებულ რეკომენდაციებს გადასცემს სამინისტროს ხელმძღვანელობას. ეს თემა თავისებურად განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ: ისე როგორც მთელს ქვეყანაში, შს სამინისტროში საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს რადიკალური ცვლილებები, მაგრამ არ შეიძლება აჩქარება, ნაუცბათევად, გაუაზრებლად განხორციელებულმა სტრუქტურულმა, ან სა- [illegible]

ნა შეხვედრაზე მოსული მოღვაწეების ინტერესი და შს სამინისტროს თანამშრომლებიდან ერთა-დერთს — საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახლად დანიშნულ უფროსს შალვა ოგბაიძეს სთხოვა გაეკეთებინა ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც უკვე ხორციელდება სამსახურში. ოგბაიძემ განაცხადა, რომ გაუქმდება ბევრი ბლოკპოსტი, ფოთიდან თბილისამდე ვერც ერთი ავტოინსპექტორი ვერ გააჩერებს მძღოლს, თუ მან არ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, განსაკუთრებულ სიმკაცრეს გამოვიჩენთ პრესტიჟული მარკის ავტომობილებისა და თანამდებობის პირთა მძღოლების მიმართ. სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ვაიძულებთ სრულად დაიცვან ქალაქში მოძრაობის წესები, და, რაც მთავარია, შევეცდებით ღირსება და ხალხის ნდობა აღვუდგინოთ საგზაო პოლიციის თითოეულ თანამშრომელს.

შეხვედრის დასასრულ შს მინისტრმა მადლობა გადაუხადა შეკრებაზე მოსულ თითოეულ მოღვაწეს, პირობა მისცა, რომ გაითვალისწინებს მათ შენიშვნებსა და წინადადებებს, რათა პოლიციამ უმოკლეს ვადაში შეძლოს მთავარი ამოცანის შესრულება — უაღრესად გართულებული კრიმინოგენური ვითარების გამოსწორება, მუდმივი ქაოსის თავიდან აცილება. საკადრო ცვლილებების კრიტერიუმი იქნება: პროფესიონალიზმი, პატიოსნება და მშობლიური ქვეყნის ერთგულება. გიორგი ბარამიძე მიესალმა, აგრეთვე, შს მინისტრთან საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის იდეას, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სხვადასხვა თაობის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სექტორის კომპეტენტური წარმომადგენლები, რომელთა რჩევები და რეკომენდაციები დიდ დახმარებას გაუწევს მას და მთლიანად შს სა- [illegible]

ვალერიან გოგოლაშვილი.

პარასკევი
12 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.40 მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" 10.05 მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" 11.45, 21.40 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მხოლოდ კლასიკა 15.15 მხ. ფილმი "საუკეთესო საუკეთესოთა შორის-4" 16.45 დოკ. სერიალი "ორიენტირი" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "სოლედადი" 19.15 დოკ. სერიალი "პალიტრა" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 მაგთიტრონი 21.10 "იმღერე რამე" 21.50 მრავალსახეობა 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი "მარტოსული გმირი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშანი" 21.00 ენერგია 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 მხ. ფილმი "სიყვარული და 45 კალიბრი"

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი [illegible] 10.20 დოკ. ფილმი [illegible] 11.00 სერიალი [illegible] 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი [illegible] 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 18.25 სერიალი "ჯადოქარი" 18.55 სერიალი "მაშველები" 19.45 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 00.30 მხ.ფილმი "ყორანი". მთ. რ-ში: ბრენდონ ლი. 02.40 მხ. ფილმი "ეშმაკის საკუთრება". მთ. რ-ში: ჰარისონ ფორდი, ბრედ პიტი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.30, 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30 მუსიკა 11.00 სერიალი "ბაგა-ბაღი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30, 18.00 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი "ჯადოქრის სიყვარული" 18.45, 19.45 მუსიკა 20.00 მიუზიკპოლი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "წაიკითხე ტუჩებზე" 01.55 მუსიკა

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 17.20, 17.55, 00.45 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 09.30 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 10.30 [illegible] 11.05 [illegible] 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 სერიალი [illegible] 14.05 სერიალი [illegible] 15.15 მხ. ფილმი [illegible] 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.30 ქრონიკა 17.25 [illegible] 18.05 სერიალი [illegible] 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 "თემა" 21.45 საღამოს ღიმილი 22.50 მხ. ფილმი "ფარული სიყვარული"

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "ბედისწერა" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "1492 წელი, სამოთხის დაპყრობა"

10.30, 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.15, 22.30 სერიალი "ყავახანა" 19.00 სალონი 20.30 მომავალი 21.00 მუს. პაუზა 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.45 მხ. ფილმი "დანაშაული გრძნობა"

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "ჰინკი" მთ. რ-ში ჯეიმი კერტისი, პან კლარინი. 18.00, 19.15 ინფორმატორი 19.30, 20.15 [illegible] 20.50 [illegible] 21.15 ფილმი 22.35 [illegible] 23.00 [illegible] 00.00 [illegible] 01.40 "დებუტი" მხ. ფილმი [illegible] მთ. რ-ში კრისტოფერ ლოიდი. 03.45 პაუზის გარეშე

ფეხბურთი

უმჯობესია ბევრი და კარგი

დღეს, 15 საათზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ შვეიცარიის ქალაქ ნიონიდან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა კენჭისყრის პირდაპირ ტელეტრანსლაციას შემოგვთავაზებს (დღესვე დაწყვილდებიან უეფას თასისთვის მებრძოლი კლუბებიც). კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით – 4 გუნდი – ესპანეთი განაგრძობს. დანარჩენ ქვეყნებს ასეთი წარმომადგენლობა შემორჩათ: ინგლისი – 3, იტალია, გერმანია, საფრანგეთი – 2-2, პორტუგალია, ჩეხეთი, რუსეთი – თითო-თითო. ახლა კი მოკლედ ჯგუფური რაუნდის დასკვნითი ტურის შესახებ.

„ა“ ჯგუფი. „ბაიერნი“ – „ანდერლეხტი“ 1:0, „ლიონი“ – „სელტიკი“ 3:2. ამ კვარტეტში კვანძი მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანი საჯარიმოებით გაიხსნა – მიუნხენში პენალტი მაკაიმ გაიტანა, საფრანგეთში კი ჟუნინიომ, რომელმაც „დუბლი“ მიითვალა. არადა, მანამდე შოტლანდიელებმა ორჯერ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება (ჰართსონი, სატონი).

„ლიონი“ – 10, „ბაიერნი“ – 9, „სელტიკი“, „ანდერლეხტი“ – 7-7 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „არსენალი“ – „ლოკომოტივი“ 2:0, „დინამო“ (კიევი) – „ინტერი“ 1:1. „მეთოფეებმა“ მძლავრი ფინიშით გააღწიეს მეორე ეტაპზე, სადაც უკვე ფავორიტის რანგში მოგვევლინებიან. გადამწყვეტ მატჩში საბედისწერო შეცდომები პამინინმა დაუშვა, რითაც მშვენივრად ისარგებლეს პირესმა და ლიუნგბერგმა. რკინიგზელები არანაკლებ დააღალატა ლექსეტომ, რომელმაც შესვენების წინ წითელი ბარათი დაიმსახურა. რაც შეეხება მეორე წყვილს, ყველაფერი ორივე მხარისთვის არასასურველი ზავით დასრულდა (ადანი, რინკონი), რამაც სანუკვარი მეორე ადგილი მოსკოველებს შეუნარჩუნა. ცნობისათვის: მიხეილ აშვეთია შესვენებაზე შეცვალეს, მალხაზ ასათიანი კი ამჯერადაც ბოლომდე შემორჩა სათადარიგოთა სკამს.

„არსენალი“ – 10, „ლოკომოტივი“, „ინტერი“ – 8-8, „დინამო“ (კიევი) – 7 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „ეინდჰოვენი“ – „დეპორტივო“ 3:2, აეკ – „მონაკო“ 0:0. ჰოლანდიელებს გეგმაზომიერად მიჰყავდათ საქმე სანატრელი შედეგისაკენ – 2:0 (დე იონგი, რობენი), მაგრამ ხავიერ ირურეტას განხორციელებული შეცვლებით შეხვედრის ხასიათში არსებითი გარდატეხა მოხდა და მასპინძლებს ყველაფერი წყალში ჩაეყარათ – 2:2 (ლუკე, პანდიანი). დამატებული დროის ბოლო წუთზე დე იონგის გატანილ კიდევ ერთ გოლს მნიშვნელობა მხოლოდ სტატისტიკოსთათვის თუ ჰქონდა.

„მონაკო“ – 11, „დეპორტივო“, „ეინდჰოვენი“ – 10-10, აეკ – 2 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“ – „ოლიმპიაკოსი“ 7:0, „სოსიედადი“ – „გალათასარაი“ 1:1. საბრალო ბერძნები – უკანასკნელი სამი მატჩის (მათ შორის ორის – „სერია-A-ში) წაგებით გამოწვეული „ბებერი ქალბატონის“ რისხვა სწორედ მათ დაატყდათ თავს, თუმცა არა გვგონია ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებითაც კი მარჩელო ლიპი ბოლომდე კმაყოფილი იყოს – მძიმე ტრავმა მიიღო „დუბლის“ ავტორმა ტრეზეგემ. გაცილებით საინტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები ბასკეთის დედაქალაქში, სადაც თურქები პირველ ტაიმშივე დააწინაურა ჰაქან შუქურმა. მასპინძლები 52-ე წუთზე დე პაულამ იხსნა.

„იუვენტუსი“ – 13, „სოსიედადი“– 9, „გალათასარაი“ – 7, „ოლიმპიაკოსი“ – 4 ქულა.

„ე“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ – „შტუტგარტი“ 2:0, „რეინჯერსი“ – „პანათინაიკოსი“ 1:3. ბუნდესლიგის 15 თამაშში სტუმართა მეკარე ჰილდებრანდს მხოლოდ 3 გოლი აქვს გაშვებული. იგი ამჯერადაც კარგა ხანს გამოიყურებოდა ყოჩაღად, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ვან ნისტელროის თავურს ვეღარაფერი მოუხერხა. მალე გიგზის ჯერიც დადგა და ამ ჯგუფში ადგილები კანონზომიერად განაწილდა. ეს ძირითადად წამყვან დუეტზე ითქმის, თორემ „რეინჯერსის“ საშინაო ფიასკო (მაშინ, როცა თავიდან შოტლანდიელები იგებდნენ) მართლაც მოულოდნელობად შეიძლება შეფასდეს. დავძენთ, რომ ქართველთაგან ამჯერად მხოლოდ ზურაბ ხიზანიშვილმა იბურთავა.



„მანჩესტერი“ – 15, „შტუტგარტი“ – 12, „პანათინაიკოსი“, „რეინჯერსი“ – 4-4 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „რეალი“ – „პორტუ“ 1:1, „პარტიზანი“ – „მარსელი“ 1:1. ამ ჯგუფში ყველაფერი ადრევე გაირკვა და ამიტომ არც ჩვენ შევჩერდებით მასზე.

„რეალი“ – 14, „პორტუ“ 11, „მარსელი“ – 4, „პარტიზანი“ – 3 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „ბეშიქთაში“ – „ჩელსი“ 0:2, „სპარტა“ – „ლაციო“ 1:0. გელზენკირხენის სტადიონზე შეკრებილმა 50-ათასიანმა თურქულმა დიასპორამ თანამემამულეებს ვერაფრით უშველა – პრემიერლიგის ერთ-ერთი „ყოჩი“ მეტოქეზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და რევანში აიღო პირველ წრეში შინ განცდილი სენსაციური მარცხისათვის (ჰასელბაინკი, ბრიჯი). მეორე მერვედფინალისტის საგზური ჩეხებს ერგოთ – მათ გადამწყვეტი გოლი 93-ე (!) წუთზე გაიტანეს.

„ჩელსი“ – 13, „სპარტა“ – 8, „ბეშიქთაში“ – 7, „ლაციო“ – 5 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „მილანი“ – „სელტა“ 1:2, „ბრიუგე“ – „აიაქსი“ 2:1. კარლო ანჩელოტიმ ძირითადი ბირთვი რამდენიმე დღის წინათ გაგზავნა ტოკიოში, სადაც „ლურჯ-წითლები“ 14 დეკემბერს საკონტინენტთაშორისო თასისთვის „ბოკა ხუნიორსს“ უნდა შეებან. შინ დარჩენილმა ნახევრად სარეზერვო შემადგენლობამ (მათ შორის ახალგამოჯანმრთელებულმა კახა კალაძემ) იმდენი ქნეს, რომ სტუმრებს „მწვანე შუქი“ აუნთეს საგაზაფხულო ბატალიებისკენ. რაც შეეხება „აიაქსს“, მას აშკარად შეუფერებელი ბოლო ადგილი ერგო.

„მილანი“ – 10, „სელტა“ – 9, „ბრიუგე“ – 8, „აიაქსი“ – 6 ქულა.

გია პლატონიშვილი.

კარატე

ბრინჯაოს ამ მედალს სხვა ფასი აქვს

ახლახან 48 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი შეიკრიბა ლონდონის გარეუბან ბასში, სადაც გიჩინ ფუნაკოშის სახელობის XI მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა კარატეში.

ჩვენს თანამემამულეთაგან განსაკუთრებით კარგად იასპარეზა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კავშირის გუნდის გამოცდილმა წევრმა **მზეჭაბუკ მახარაძემ,** რომელმაც აბსოლუტური წონითი კატეგორიის კუმიტეში 400 მონაწილეს შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მას ეს წარმატება თვით სენსეი ჰაცუი ჯინდომ – გამოჩენილმა იაპონელმა ოსტატმა მიულოცა. ქართველი კარატისტები გუნდურ კატაშიც კარგად გამოვიდნენ და მერვე ადგილი დაიკავეს.

როგორც შოტოკან კარატე-დოს ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე კვაიჭაძემ გვაუწყა, მედლის მოპოვების შანსი მიხეილ კაშიასაც ჰქონდა, მაგრამ გამოუცდელობის გამო მას ერთი ნაბიჯი დააკლდა მიზნამდე და საბოლოოდ იუნიორთა ტურნირში IV ადგილით დაკმაყოფილდა. დარწმუნებულნი ვართ, სპორტის ამ სახეობის სტაბილური დაფინანსების შემთხვევაში ჩვენი კარატისტები საბრძოლო ნათლობას პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებებში მიიღებენ და შედეგებიც უკეთესი ექნებათ.

საქართველოს დელეგაციის თხოვნით, მადლიერების გრძნობით გვსურს მოვიხსენიოთ ჩვენს ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის საკონსულოს მთელი კოლექტივი და გუნდის სპონსორები, რომლებსაც, გასაგები მიზეზების გამო, ამჯერად ვერ წარმოგიდგენთ.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი მზეჭაბუკ მახარაძე.

ოჯახური დრამა

ეროტიკული ფოტო — შურისძიების საშუალება?

ამას წინათ ერთ-ერთმა ბრაზილიურმა ჟურნალმა თითქმის გაშიშვლებული მილენე დომინგესის ფოტოები გამოაქვეყნა. ეს მშვენიერი არსება კი ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის – რონალდოს მეუღლე გახლავთ, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით.

რა იყო ეს – მეუღლის აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრებით გამოწვეული რეაქცია?

ბრაზილიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრების წევრმა ფართო საზოგადოების წინაშე წარმოაჩინა ის, რისი ნახვაც შეეძლოთ თანაგუნდელ გოგონებს შხაპის მიღებისას და რონალდოსაც, როცა ბედი გაუღიმებდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ბრაზილიურმა გაზეთმა დაბეჭდა რონალდოს მამის – ნელიო ნაზარიოს კომენტარი: „ეს მოულოდნელი იყო, თუმცა, რას გაიგებ, ქალებს როდის რა მოუვათ თავში“.



ჟურნალში გამოქვეყნებულ ფოტოებს თან ახლავს მილენეს ინტერვიუ, რომელშიც „კიჭას“ მეუღლემ მკითხველებს პიკანტური ხუმრობებიც გააცნო: „როცა იტალიაში ვცხოვრობდი, ჩემი ქმრის მეგობრები – ცნობილი ფეხბურთელები მოსვენებას არ მაძლევდნენ: მირეკავდნენ ტელეფონზე, კომპლიმენტებით მავსებდნენ და თავიანთ საზოგადოებას მთავაზობდნენ“. რონალდოსთან დამოკიდებულებას კი ასე გადმოსცემს: „ხშირად, დღეების განმავლობაში, ცივი ურთიერთობა გვქონდა, ანდა სულაც არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს“.

რაც შეეხება „კიჭას“ და მის მეგობრებს „რეალიდან“, ისინი თავბრუდამხვევ ორგიებსაც არ ერიდებიან თურმე. სამეფო კლუბის მთელ რიგ ფეხბურთელებს „სანტიაგო ბერნაბეუსთან“ ახლოს დროსტარების მიზნით ოთახები ჰქონიათ დაქირავებული.

კიდევ ერთ საიდუმლოს აეხადა ფარდა: რონალდომ თავისი დაბადების 27-ე წლისთავი დიდი ზეიმით აღნიშნა „რეალისა“ და სხვა ადგილობრივი კლუბების წევრებთან ერთად. ამასთანავე, ზეიმზე მოიწვია 70 ახალგაზრდა გაუთხოვარი ლამაზმანი, ანუ იმდენი, რომ მის მეგობრებს ორ-ორი, სამ-სამი ქალი რგებოდათ (ცხადია, ეს სრულებითაც არ ჰგავს ინგლისის პრემიერ-ლიგის ფეხბურთელთა დროსტარებას, რვა კაცი რომ ერთ მცირეწლოვან გოგონას ებრძვევნა). რონალდოს თავის ფეშენებელურ ბინაში სტუმრად ჰყავდა რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი, კრისტიან ვიერი, რივალდო და სხვები. მათგან წვეულებაზე მხოლოდ ფიგუ მივიდა მეუღლითურთ.

ცნობილი ფეხბურთელები ამგვარ დროსტარებას, ცხადია, არ ამხელენ, საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ საზოგადოებას და განსაკუთრებით პაპარაცებს რამე დაემალებათ?

თავისი უკმაყოფილება ჟურნალისტებს კარლოსმა პრესის მეშვეობით განუცხადა: „რატომ აქვეყნებთ ამგვარ მასალებს? ხომ იცით, რომ ასე ხელს უწყობთ ოჯახების დანგრევას!“

„ხედავთ, წყალგაღმა გასვლა სურთ ფეხის დაუსველებლად“, – შენიშნავენ ჟურნალისტები.

მოამზადა

ლეილა ცინცაძემ.

სურათებზე: რონალდო და მისი მშვენიერი მეუღლე მილენე დომინგესი.

დონ კინგი თანახმაა, გადაიხადოს 7,5 მილიონი

ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა სახალხოდ თანხმობა განაცხადა ჟიურის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ის დაავალდებულა 7,5 მილიონი დოლარი გადაუხადოს მსოფლიო ექსჩემპიონ ტერი ნორისს. როგორც სასამართლომ დაადგინა, კინგი არაკანონიერად ითვისებდა მსხვილ თანხებს, რომლებიც, წესით, სპორტსმენს უნდა მიეღო. პრომოუტერი დათანხმდა, რომ 3 მილიონს ახლავე გადაიხდის, დანარჩენს კი – უახლოესი 15 თვის განმავლობაში. პროკურორის აზრით, ნორისის მაგალითი გახდება გადამღები ბევრი სხვა მოკრივისთვის, რომელთა ხარჯზე ხელი მოითბო გაქნილმა პრომოუტერმა, თანაც დაამატა, რომ ეს იქნება „დასასრულის დასაწყისი“ კინგისათვის.

ცინცხალი ამბები

უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ იტალიის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე შეკრებილი ადამიანები. მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რომელიც „ფერარის“ ბოლიდის საჭესთან იჯდა, ეჯიბრებოდა იტალიურ სამხედრო-გამანადგურებელ „ევროფაიტერ ტიფონს“. თვითმფრინავს მართავდა მაურიციო კელი. შეჯიბრი სამ ეტაპად ჩატარდა — 600, 900 და 1200 მეტრზე. შუმახერმა შესძლო მოკლე დისტანციაზე დაეჯაბნა თვითმფრინავი. 1200 მეტრზე გამანადგურებელმა საკმაო მანძილით გადაუსწრო „ფერარს“.



საუკეთესო სიურპრიზი მოუმზადეს ფრანგმა გემთმშენებლებმა ცნობილ რუს ზღვაოსანსა და მოგზაურს თევდორე კონიუხოვს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა. ცნობილმა ფრანგულმა გემთმშენებელმა ფირმა „სავაჭრო ცენტრი ალისფერი იალქნების“ წარმომადგენლებმა კონიუხოვისთვის დაამზადეს 27 მეტრი სიგრძის, ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი გიგანტური იახტა, რომელიც დღეს მოგზაურს დაბადების დღეზე აჩუქეს. ერთი კვირის შემდეგ იახტა საფრანგეთის ნაპირებს მოცილდება და კანარის კუნძულებისკენ აიღებს გეზს, საიდანაც მსოფლიოს ირგვლივ სამოგზაუროდ გასწევს.

დაბრუნება

„ავაზადან“—რკინიგზამდე

დრომ მოიტანა და, საქართველოში უცხოელი მწვრთნელები მოგვიმრავლდნენ. მეტიც – ერთ-ერთმა მათგანმა – ბერძნული წარმოშობის პერუელმა სპეციალისტმა, ბუნდესლიგაში გამოწრთობილმა ლუის ცაკარიასმა თბილისის „ლოკომოტივში“ მეორედ მოსვლაც კი მოასწრო და გუნდი XV ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპზე გაიყვანა.

რკინიგზელთა ეს ლოკალური წარმატება ჩვენი კოლორიტული სტუმრის ქართველ თანაშემწეს გოჩა თამაზაშვილსაც უკავშირდება. მათი თანამშრომლობის ფესვების გაცნობამდე გთავაზობთ ჩვენი თანამემამულის სპორტულ ბიოგრაფიას, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს, რომ ეს ერთ დროს ფუტკარივით გამრჯე მარცხენა ნახევარმცველი სრულიადაც არაა შემთხვევითი პიროვნება ქართულ ფეხბურთში.

სადარბაზო ბარათი

გოჩა თამაზაშვილი „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია (მწვრთნელები კობა თურაზაშვილი, ვილი გოგიბაძე). იყო თანატოლთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი.

1982 წლიდან უკრაინაში, ჟიტომირის „სპარტაკში“ დაიწყო თამაში, სადაც იმ დროს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გახლდათ გაწვეული. შემდეგ ბელაია ცერკოვის „დინამოში“ ჩაირიცხა, რომელიც კიევის „დინამოს“ საბაზო კლუბს წარმოადგენდა. ეს გუნდები მაშინდელი სსრ კავშირის II ლიგის VI ზონაში გამოდიოდნენ.

სამშობლოში I ეროვნული ჩემპიონატის წინ დაბრუნდა და სამტრედიის „სანავარდოში“ დაიწყო თამაში. შემდეგ იყო „არმაზი-90“ და ჭიათურის „მაღაროელი“, რომელიც, მიუხედავად დებიუტანტობისა, უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში აფხაზეთის ომის გამო შეწყვეტილ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდა. ქვეყანაში აწეწილმა მდგომარეობამ იგი აიძულა უკრაინაში დაბრუნებულიყო და კარიერა იქ გაეგრძელებინა. მალე გერმანიიდან მიწვევა მიიღო და ზაზა დადუნაშვილთან ერთად II ბუნდესლიგის ჩვენთვის კარგად ნაცნობ იენის „კარლ ცაისში“ გადიოდა შეკრებას. ალბათ, ბედის ირონია თუ იყო – ორმხრივი თამაშისას ფეხი მოიტეხა და პროფესიულ ფეხბურთს დაემშვიდობა, თორემ ბურთს რეგიონალლიგისა და ობერლიგის დონეზე კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში აგორებდა.

– ახლა კი, მოდით, ძირითად სათქმელზე გადავიდეთ – მწვრთნელობა როდის გადაწყვიტეთ?

– ზემოთ ნახსენები მძიმე ტრავმისა და ასაკის გამო სამწვრთნელო კარიერაზე დავიწყე ფიქრი. მოგეხსენებათ, გერმანიაში ულიცენზიოდ გუნდს არავინ განდობს. მეც პროფესიული სრულყოფის მიზნით „C“ ლიცენზიის მოსაპოვებლად ბად-ბლანკენბურგის საფეხბურთო სკოლაში გავიარე შესაბამისი კურსები, პარალელურად იუნიორთა გუნდებს ვავარჯიშებდი – უსტაჟოდ შემდგომ საფეხურზე – „B“ ლიცენზიაზე არავინ დამიშვებდა. ღვთის შეწევნით, მრავალეტაპიანი ციკლი წარმატებით დავძლიე და გაისად თებერვალში უკვე „A“ ლიცენზიის დასაუფლებლად მეორე სემესტრში მომიწევს გამოცდების ჩაბარება, რაც საშუალებას მომცემს, უპრობლემოდ შევხედო ჩემს სამწვრთნელო პერსპექტივას. ეს სათქმელად გახლავთ იოლი, თორემ საილუსტრაციოდ მოგახსენებთ, რომ „A“ ლიცენზიის მოსაპოვებლად I ეტაპზე ლაიფციგსა და ბერლინში მომიწია კურსების გავლა.

– „ლოკომოტივში“ როგორღა აღმოჩნდით?

– უპირველესად, გაუწყებთ, რომ მე ქალაქ ნორდჰაუზენში ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ჩამოვაყალიბე, სადაც გერმანელებთან ერთად ნორჩი უცხოელი ტალანტებიც ჩამოგვყავდა. სწორედ იქ დავუახლოვდი ლუის ცაკარიასს, რომელიც მწვრთნელთა მრჩევლად შემთხვევით არ მომიწევია – პერუელი სპეციალისტი ბუნდესლიგის „დუისბურგის“ საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ წიგნში, არც მეტი, არც ნაკლები, ამ კლუბის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად იყო აღიარებული და დანარჩენ კოლეგათაგან განსხვავებით, ერთის ნაცვლად სამი ფურცელი ჰქონდა დათმობილი. მისგან მეც ბევრი რამ ვისწავლე და დღესაც ვსწავლობ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, გიპასუხებთ, რომ რკინიგზელთა სათავეში დაბრუნების შემდეგ ბატონმა ლუისმა თანაშემწედ ჩემი კანდიდატურა შეარჩია და მეც დავთანხმდი.

– ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპის შედეგებს როგორ შეაფასებთ?

– რაც მთავარია, პროგრამა-მინიმუმი, რომელიც საუკეთესო ექვსეულში მოხვედრასა და ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურისათვის ბრძოლაში შანსების შენარჩუნებას ითვალისწინებდა, შევასრულეთ. ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოს რკინიგზა კვლავაც გუნდის გვერდითაა, კლუბის პრეზიდენტად კი დღესაც მისი მთავარი მოამაგე ბატონი აკაკი ჩხაიძე მოღვაწეობს.

გია პლატონიშვილი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

ლუის ცაკარიასთან ერთად.

ყოველი მხრიდან



უარესზე უარესიც არ დაილევა

შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იტალიურმა რადიოსადგურმა მოაწყო მსმენელთა გამოკითხვა სერია A-ში 2003 წლის ყველაზე უარესი ფეხბურთელის გამოსავლენად. ალბათ, ბევრი გულშემატკივრისთვის გასაკვირად, „გაიმარჯვა“ ძალზე პოპულარულმა მოთამაშემ, „მილანის“ ნახევარმცველმა რივალდომ, ახლა მოსკოვის „სპარტაკი“ თავისკენ რომ „ექაჩება“. ქულებით მას მცირედით ჩამორჩა ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის ვაჟიშვილი ალ-საადი კადაფი „პერუჯადან“.

„საპატიო კვარცხლბეკის“ მესამე საფეხურზე ავიდა „უდინეზეს“ გერმანელი ფორვარდი კარსტენ იანკერი.

„რჩეულთა ათეულში მოხვდნენ, ასევე ცნობილი ფეხბურთელები: მარკო მატერაცი („ინტერი“), მარსელო სალასი („იუვენტუსი“), სერჟიუ კონსეისაუ და სინიშა მიხაილოვიჩი (ორივე „ლაციოდან“).

ყველაზე რთული პენალტი

ასე მიიჩნია არგენტინის ჩემპიონატის მე-18 ტურში თავის გამოსათხოვარ მატჩში „ველეს სარსფილდის“ კარში გატანილი თერთმეტმეტრიანი „სან-ლორენსოს“ 37 წლის ფორვარდმა ალბერტო აკოსტამ. ეს მე-300 გოლი იყო მის პროფესიონალ კარიერაში, რითაც სნაიპერთა ლიდერი გახდა.

„ეს იყო ურთულესი პენალტი ჩემს ცხოვრებაში“, – განაცხადა აკოსტამ, რომელმაც 19-ჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში.

როდესაც 79-ე წუთზე აკოსტამ მინდორი დატოვა, ფეხზე ამდგარი მთელი სტადიონი ტაშის გრიალით მიაცილებდა მას.



ჟურნალისტთა ბოიკოტს დაიმსახურებს

ჟურნალისტური საქმოს დიდი პროტესტი გამოიწვია ზაგრების „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორის ზდრავკო მამიჩის საქციელმა. მან ტელეკომპანიის НТВ კორესპონდენტს აუკრძალა „მაქსიმირის“ სტადიონიდან რეპორტაჟის გადაცემა.

სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა თოგაი ბაიათლიმ ხორვატეთის ფეხბურთის კავშირს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „სტადიონიდან რეპორტაჟის გადაცემის აკრძალვა – ზომაა, რაც არღვევს ინფორმაციის მოპოვებაზე ჟურნალისტის უფლებას, რაც გარანტირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ“.

ბაიათლის აზრით, ასეთი დარღვევისათვის ყველაზე ეფექტური სასჯელი იქნება საინფორმაციო ბოიკოტი, რაც ასოციაციის წევრებმა, შეიძლება გამოიყენონ ხორვატეთში. რადიოთი და ტელევიზიით აღარ გადაიცემა „დინამოს“ მატჩების რეპორტაჟები და არც სტადიონიდან ანგარიშები გამოქვეყნდება.

ოჯახს უნგრევს?

მადრიდის „რეალის“ ფანატიკოსი გულშემატკივარი ქალი, 23 წლის ნურია ბერმუდესი იმუქრება, რომ უახლოეს ხანში გაყრის მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ცოლ-ქმარს. ქალიშვილის თქმით, მან თვალი დაადგა „სამეფო კლუბის“ ახალბედა მოთამაშეს – ნახევარმცველ დევიდ ბექჰემს და უკვე ურჩია მის ცოლს – ვიქტორიას სხვა ქმარი გამოძებნოს.

„მე ჭკუას ვკარგავ დევიდზე, – გაჰკივის ნურია, – სამწუხაროდ, ჯერ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ ამ პრობლემასაც მოვაგვარებ. რაც შეეხება ვიქტორიას, ის დევიდის შესაფერი ნამდვილად არაა. თანაც, ბოლო ხანებში ის თავის გარეგნობაზე უფრო წუხს, ვიდრე – ქმარზე“.

სენიორიტა ბერმუდესის ნაცნობების განცხადებით, ის ნამდვილად გაგიჟდა. მთელი ბინა გამოჭედილი აქვს „რეალის“ დროშებითა და გუნდის ვარსკვლავების ფოტოსურათებით, მაგრამ მის ბინაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 23-ნომრიან სუვენირებს. ამ ნომრით ხომ მისი კერპი თამაშობს. ამას წინათ ნურიამ საკმაოდ ძვირად შეიძინა ფეხბურთელის მაისური, რომელსაც ბექჰემის ავტოგრაფი ამშვენებს.



თუმცა დევიდი ქალიშვილის ამ აქტიურ კამპანიას ყურადღებას არ აქცევს. ამის დრო არც რჩება.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები, ხევსურული წესით ძმადშეფიცულნი — აჭარელი ბიძინა პაიდარის ძე მახარაძე (მარცხნივ) და ხევსური (ჯუთელი) შალვა ნათელის ძე არაბული, — აწ გარდაცვლილნი. 1957 წლის იანვარი.

ფოტო მოგვაწოდა მათმა თანაჯგუფელმა ლევან ყიფშიძემ.

ღიმილის დოზა

— ექიმო, მე არ შეიძლება, მქონდეს შთამომავლობითი დაავადება: ობოლი ვარ.

* * *

ნათელმხილველი კლიენტ ქალს ეუბნება:

— თქვენი მომავალი ორად არის გაყოფილი, არის კარგი და არის ცუდი. ჯერ კარგის შესახებ გეტყვით. იპოვით საქმროს, დაინიშნებით.

— ეს კარგია! შესანიშნავი. ცუდი რაღაა?

— ცუდი ის არის, რომ დაქორწინების წინ თქვენი საქმრო სათვალეს იყიდის.

* * *

საერთოდ, ეს მიწა მდიდარია: გუშინაც 5 ლარი ვიპოვე.

* * *

განცხადება: „მეხუთე საშუალო სკოლას სჭირდება ქიმიის მასწავლებელი თავისი ხელფასით".

* * *

კაცი პლაჟზე მაშველების ოთახში შევიდა.

— ბიჭებო, ასანთი გაქვთ?

— ასანთი — არა, ინებეთ სანთებელა.

— გმადლობთ.

— არაფრის.

— როგორ მიდის საქმე? ძალიან დატვირთულები ხართ? განწყობილება როგორი გაქვთ?

— არა გვიშავს რა, ვმუშაობთ, როგორც შეგვიძლია.

— ძალიან ცხელი ზაფხულია, სუნთქვა ჭირს!

— ნუ იტყვი! საერთოდ მძიმე წელიწადია, მზის აქტივობაა.

— კარგი, ბიჭებო, წავედი.

— რამ შეგაწუხა, რატომ შემოხვედი?

— აი, ჩემი სიდედრი იხრჩობა.

* * *

ფიდელ კასტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა, მეორე 40-წლიანი ვადით.

* * *

ორი მეგობრის საუბრიდან:

— წარმოგიდგენია, გუშინ ლენკას ვკოცნიდი.

— აკი არა ვსვამო?

* * *

ვოვოჩკამ დედას შესჩივლა:

— სკოლაში ცრუპენტელას მეძახიან!

— ვოვოჩკა, შენ ხომ ჯერ სკოლაში არ დადიხარ!

დავდივარ თბილისის ქუჩებში

პოეტის ფუჭი გასროლა

ვინა სთქვა, პოეზია ქართველი კაცის თანამგზავრიაო, ყველა ქართველი პოეტიაო, ქართველისთვის ლექსი სულის საგზალიაო, ლექსი შრომის დროს აგურია, ბრძოლის დროს კი ტყვიით სავსე ყუმბარაო. აღარ მჯერა და გეტყვით რატომ.

გაისარჯა ამ რამდენიმე თვის წინათ კაცი, ვინმე პოეტი, დღე და ღამე გაასწორა, რომ პოეზიის მუხტით მაინც შეეგდო ნამუსზე ზოგიერთი თბილისელი (მგონი, უმრავლესობა) და დედაქალაქის ცენტრალურ ადგილებში ჩამწკრივებულ ახალთახალ ურნებზე (როგორც ამბობენ, ზიმბაბვემ გვაჩუქა) გულის ამაჩუყებელი, მომწოდებლური, დამრაზმველი პოეტური სტრიქონები მიეწერა.

მივუყვებოდი რუსთაველის პროსპექტს, ვკითხულობდი ამ სტრიქონებს და ვფიქრობდი, რა დასუფთავებულ-დაკასკასებული გახდებოდა ხვალ-ზეგ ეს ტროტუარები და გაზონები. აბა, ამ სტრიქონებს არ უნდა ემოქმედა?

„ჩაგეთვლებათ თქვენ ქალაქზე ზრუნვაში,
თუ ნარჩენებს ჩაუძახებთ ურნაში".

თანაც, ზოგან, პოეტი დაუნდობელიც იყო:

„როგორ დავარქმევთ ჭკვიანებს,
იმათ, ვინც გვაჭუჭყიანებს".

ერთგან ასეც კი წერდა (ღამით მოსეირნეებს გულისხმობდა უთუოდ):

„იქ სადღაც ბნელა,
ჩაყარე ნელა".

აქა-იქ გულუბრყვილოც ჩანდა:

„თბილისელო, ნუ ხარ
მორცხვი,
დაიკავე ხელში ცოცხი".

მივუყვები ახლაც რუსთაველს და ვხედავ, რა უძლურია ზოგჯერ პოეზია, როგორ იყრება წყალში პოეტის შრომა... ისევ ისე ნაგავი — მიყრილ-მოყრილი, მიმოფანტული... როგორც იტყვიან, პოეტი ყეფს, ქარავანი მიდის... ახია შენზე, პოეტო!..

მოდით, ვნახოთ, იქნებ სულმნათმა აკაკიმ გვიშველოს?

„მივაძახე ეკლებში (ნაგავში)
ნუ ვარდები,
ნუ გგონია იქ ია და
ვარდები".

რაო, ვარდებიო? ვარდებიო? ვარდები?..

რაღაც ასოციაციას იწვევს, ღმერთო გვიშველე!

ვილენ მარდალეიშვილი.

ანეკდოტი თემაში

არჩევნები ერთადერთი დღეა, როცა მოქალაქენი ქაღალდებს ურნაში აგდებენ.

ოპერა

იტალიელი სამეული თბილისურ სცენაზე

იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო ის პიროვნება აღმოჩნდა, რომელსაც უზომოდ უყვარს საოპერო ხელოვნება. ეს სიყვარული მან იმითაც დაადასტურა, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე უმალ სცადა ურთიერთობის დამყარება ჩვენს საოპერო თეატრთან. თეატრის ხელმძღვანელობას მან შესთავაზა პროექტები, რომელიც საოპერო ხელოვნების დარგში ორი ქვეყნის — იტალიისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს. ამ თანამშრომლობის ნაყოფია პირველი პროექტი, რომლის ხორცშესხმა უკვე რეალობად იქცა.

თბილისში ჩამოვიდნენ იტალიელი მომღერლები, რომლებიც ერთ საოპერო დადგმაში — პუჩინის **„ტოსკაში"** წარსდგებიან თბილისელთა წინაშე.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მათი გამოსვლა ნოემბრის თვეში იყო დაგეგმილი, მაგრამ პოლიტიკური ფონის გამო სპექტაკლმა ერთი თვით გადაიწია და **13 დეკემბრისთვის** დაინიშნა. სტუმრები სამი დღით ადრე ეწვივნენ ჩვენს დედაქალაქს. თეატრის დირექციამ მასმედიას საშუალება მისცა გაეცნოთ ისინი პრესკონფერენციაზე, რომელსაც უძღვებოდა თეატრის პრესცენტრის ხელმძღვანელი დალი მახარაძე.

შეხვედრაზე იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ და თეატრის დირექტორმა ზურაბ ლომიძემ გამოთქვეს რწმენა, რომ ურთიერთობა, რომელსაც ახლა ეყრება საფუძველი, მომავალშიც გაგრძელდება.

როგორც აღმოჩნდა, სამივე მომღერალი ერთმანეთის პარტნიორები ხშირად ყოფილან, მაგრამ ერთ სპექტაკლში, კერძოდ „ტოსკაში" ყველა ერთად, მხოლოდ თბილისურ დადგმაში იმღერებს.

ჩვენი სტუმრები არიან: **ნუნცია სანტოდიროკო** (სოპრანო), რომელსაც სიმღერის ხელოვნება შეუსწავლია განთქმულ მეცოსოპრანოსთან ჯანა პედერცინთან და დაუმთავრებია ჯორდანოს სახელობის კონსერვატორია. მის რეპერტუარშია სოპრანოს ყველა ის პარტია, რომელიც ძირითადად დღეს საოპერო სცენებზე სრულდება. „ტოსკაში" იგი, ცხადია, ტოსკას პარტიას შეასრულებს.

ტენორ **პაოლო ბარტოლუჩის** კარიერა დაუწყია 1998 წელს. მაესტრო მარია ძუნიკასთან სწავლის დასრულების შემდეგ მაესტრო ჯანო რაიმონდისა და ირის ადამი კორადეტის ხელმძღვანელობით გაუვლია დახელოვნების კურსი მომღერლებისათვის.

პაოლო ბარტოლუჩი არის მარიო დელ მონაკოს სახელობის VI საერთაშორისო კონკურსის ფინალისტი. მან გაიმარჯვა საერთაშორისო მასტერკლასზე კავარადოსის პარტიის საუკეთესო შესრულებისათვის. არის მარიო ლანცას კონკურსის ფინალისტი.

მის რეპერტუარშია როგორც სასულიერო, ისე საოპერო მუსიკა. გასტროლებით მოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

სტეფანო ანსელმი (ბარიტონი) რომიდან არის, თავდაპირველად ფორტეპიანო შეუსწავლია, მოგვიანებით კი ვოკალის შესწავლას შესდგომია. მომღერალი მ. ბატისტინის სახელობის X კონკურსის გამარჯვებულია, გაიარა კრაუსის, ძეანის და კორელის დახელოვნების კურსები. მისი საოპერო რეპერტუარი გამოირჩევა მრავალფეროვნებით: ფიგარო („სევილიელი დალაქი"), მარსელი („ბოჰემა"), ტონიო („ჯამბაზები"), რიგოლეტო („რიგოლეტო"), ამონასრო („აიდა"), ნაბუქო („ნაბუქო"), გრაფი დი ლუნა („ტრუბადური"), როდრიგო („დონ კარლოსი"), ჯანი სკიკი („ჯანი სკიკი"), ჟერმონი („ტრავიატა") და მრავალი სხვა.

ასევე მრავალფეროვნებით გამოირჩევა სტეფანო ანსელმის საგასტროლო მოღვაწეობაც. იგი გამოდიოდა საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, ესპანეთის, პორტუგალიის, კანადის, იაპონიის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების სცენებზე.

მომღერლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ, მართალია, საქართველოში პირველად არიან, მაგრამ ისინი ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთ მოღვაწე შესანიშნავი ქართველი მომღერლებით იცნობენ და ამდენი ცნობილი ვოკალისტი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ბევრს ნიშნავსო. ნუნცია სანტოდიროკომ ჟურნალისტებს გვიამბო იტალიაში მცხოვრებ ქართველ ვოკალისტთან ალა სიმონიშვილთან ურთიერთობაზე, როგორც ჩინებულ პარტნიორსა და როგორც მეგობარზე. მათ ერთობლივად დისკიც ჩაუწერიათ. პაოლო ბარტოლუჩიმ კი ისაუბრა იმაზე, რომ დღეს იტალიაში ხშირად მიმართავენ მივიწყებული ოპერების „აღმოჩენას" და დადგმას, მაგალითად, გასული საუკუნის 900-იან წლებში შექმნილი საოპერო ლიტერატურის ნიმუშებს, რომლებიც თავის დროზე მკაცრად იყო გაკრიტიკებული.

იტალიელმა სტუმრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ქართველი მსმენელი, იმედია, მათ ისევე თბილად მიიღებს, როგორც იტალიელი, რადგან მათი დამოკიდებულება სიმღერის მიმართ სხვა ქვეყნის პუბლიკისგან გამორჩეულია.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათზე: იტალიელი მომღერლები — სტეფანო ანსელმი, პაოლო ბარტოლუჩი და ნუნცია სანტოდიროკო.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტო.

ჯანმრთელობა

მშვიდ ძილს გისურვებთ!

მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, უძილობას უჩივის დიდი ქალაქების მცხოვრებთა დაახლოებით 40 პროცენტი. ფიზიოლოგმა გიორგი ბარათაშვილმა, ინსომნიის პრობლემებისადმი მიძღვნილი კიევში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მონაწილემ, საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა, რომ მეცნიერთა შეხვედრაზე განიხილეს ამ აქტუალური პრობლემის სხვადასხვა ასპექტი.

ძილის მოშლილობას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ აქედან ყველაზე ხშირია სტრესი და ნევროზები. ინსომნია ყველაზე ხშირად აწუხებთ ქალებს, ვიდრე მამაკაცებს, ასევე ხანდაზმული ადამიანები იტანჯებიან უფრო ხშირად უძილობით, ვიდრე ახალგაზრდობა. ამას გარდა მსოფლიო სტატისტიკა აღნუსხავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ძილის მოშლილობის გამო ექიმებს ადამიანები მიმართავენ სეზონების მიხედვით. ეს დაკავშირებულია გვიან შემოდგომით დღის სინათლის კლებასთან და გაზაფხულზე გუნება-განწყობილების მოშლილობის გამწვავებასთან (სეზონური დეპრესია). თუ ადამიანს ბლვრულ მინიმუმზე ნაკლებ ხანს სძინავს (5 საათი), ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ აიცილებს.

ძილის მოშლილობის მკურნალობაში ძირითადია თანამედროვე წამლები და ეგრეთ წოდებული ქცევის თერაპია — ჩვეულებების და დღის რეჟიმის შეცვლა. კონფერენციაზე წარმოადგინეს ბოლო თაობის წამლები, რომელთა არსენალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს წამლები არა მარტო ეფექტურია, არამედ უხიფათოცაა და გართულებებს არ იწვევს. თუ პრობლემები გაქვთ ძილთან დაკავშირებით, უარი არ უნდა თქვათ წამლებზე, რადგან ცუდი ძილი გადადგმული ნაბიჯია მომავალი ინსულტების, ინფარქტების, ჰიპერტონიისა და სხვა სერიოზული დაავადებებისაკენ მიმავალ გზაზე.

საქინფორმი.

ყურადღება!

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ბრძანდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე" 2004 წლის პირველი ნახევრისთვის. შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ექსპედირების ხარჯის ჩაუთვლელად ერთი თვით ღირს 15 ლარი, სამი თვით – 45 ლარი, ექვსი თვით – 90 ლარი.

მსურველებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა შეუძლიათ „საქპრესის" საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, აგრეთვე, პრესის გამავრცელებელ შემდეგ ორგანიზაციებში: სს „საქპრესა" (ტელ: 93-30-54); სს „მაცნე" (ტელ: 37-47-49); შპს „უწყებანი" (ტელ: 93-64-72); შპს „ექსპრესი" (ტელ: 96-23-11); შპს „პლანეტა-ფორტე" (ტელ: 93-38-73); შპს „რუბიკონი" (ტელ: 93-46-00); შპს „პილონი" (ტელ: 34-77-43); შპს „ინფოსერვისი" (ტელ: 95-48-82).

გამოიწერეთ. იყიდეთ. იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ხიდები

ხაჩატურიანი ჩვენც გვეძვირფასება

როგორც ცნობილია, წლეულს ფართოდ აღინიშნება დიდი სომეხი კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის დაბადების 100 წლისთავი (ამის შესახებ ჩვენი გაზეთიც წერდა).

იუნესკოს მიერ 2003 წელი გამოცხადებულია „ხაჩატურიანის წლად". ამასთან დაკავშირებით, სომხეთის დედაქალაქ ერევანში იმართება შემოქმედებითი ღონისძიებების დიდი ციკლი – კონცერტები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა.

ერთ-ერთ მათგანში – საერთაშორისო სიმპოზიუმში „არამ ხაჩატურიანი და XX საუკუნის მუსიკა", რომელიც ნოემბრის მიწურულს მოეწყო ერევანში, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმაც – კონსერვატორიის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა (წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ა. ხაჩატურიანის ტრადიციები აღმოსავლეთის კომპოზიტორთა შემოქმედებაში" და „ა. ხაჩატურიანი და ქართული მუსიკალური კულტურა").

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შემოქმედებით ღონისძიებათა მაღალი საორგანიზაციო დონე, რაც სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის რობერტ ამირხანიანის დამსახურებაა.

სომხური მუსიკისმცოდნეობის დიდი წარმატებების დადასტურება იყო სამეცნიერო კონფერენცია. ეს შეეხება როგორც წარმოდგენილ მოხსენებებს, ისე სხვადასხვა წიგნებსა და კრებულებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში დაბეჭდილა.

სიმპოზიუმის მუსიკალურ-საშემსრულებლო ნაწილს საღამოს კონცერტები შეადგენდნენ. დაუვიწყარი იყო პირველი კონცერტი, რომელიც მიეძღვნა სომხურ სასულიერო მუსიკასა და ქართულ ხალხურ სიმღერას. ამ უკანასკნელის შეტანა პროგრამაში ნაკარნახები იყო სიმპოზიუმის ორგანიზატორთა სურვილით, წარმოეჩინათ ის მუსიკალური გარემო, რომელშიც იზრდებოდა თბილისში ჭაბუკი ა. ხაჩატურიანი, შემსრულებლად კი მოგვევლინენ სომხური კამერული გუნდი „ოვერ" (ხელმძღვანელი – სონა ოგანესიანი) და ქართული ვოკალური ანსამბლი „მე რუსთველი". ორივე მათგანის გამოსვლას წარმატება ხვდა წილად.

სომეხ კომპოზიტორთა იმ ნაწარმოებთა შორის, რომელთა მოსმენის საშუალება მოგვეცა, გამოვყოფდი სურენ ზაქარიანის „ელეგიას" ვიოლინოსა და სიმებიანი საკრავებისათვის (შემსრულებელი ედუარდ თადევოსიანი) და ა. ხაჩატურიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტს ჩელოსა და ორკესტრისათვის (კომპოზიტორი მიხეილ კოკჟაევი, სოლისტი – არსენ მესროფიანი). ამ ნაწარმოებებს ანათესავებს ნაღვლიანი ტონი, შინაგანი დრამატიზმი, მედიტაციურობა, რაც განპირობებულია პირველი მათგანის ჟანრული არსით და მეორის – მემორიალური დანიშნულებით, ორივე ნაწარმოები ამჟღავნებს კომპოზიტორთა პროფესიულ ოსტატობას და საუკეთესოდ წარმოგვიდგენს თანამედროვე სომხურ მუსიკას.

სიამოვნება მოგვანიჭა რობერტ ამირხანიანის საავტორო საღამომაც. მისი ლირიკული, პატრიოტული, საესტრადო სიმღერები არტისტიზმის ნიშნით არის აღბეჭდილი. ისინი ჩინებულად შეასრულეს ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერალმა სედა ამირკარაიანმა და თვითონ ავტორმა.

როგორც ცნობილია, იმავე დღეებში ერევანში გაიმართა არამ ხაჩატურიანის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელზეც ჩინებულად გამოვიდნენ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები თინათინ კიკნაძე (მე-2 პრემია) და მამიკონ ნახაპეტოვი (მე-3 პრემია).

არამ ხაჩატურიანისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები და კონცერტები ხვალ დასრულდება.

გულბათ ტორაძე.

სურათებზე: (მარჯვნიდან) — რობერტ ამირხანიანი, გიორგი დარბაიძე და გულბათ ტორაძე; ანსამბლი „მე რუსთველი".

შვილი სულიკო ცხადაძე-წულეისკირი, დისწულები მარადი და მზიური ანასაშვილები, შვილიშვილები თემური, ივა, ალეკო, თამრიკო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ მოლაშვილი-ცხადაძე.

პანაშვიდი 12, 13 XII, 4 სთ. მუხიანის დასახლება, 6. დუმბაძის პროსპექტი, კორპ. 8, მე-4 სად. მე-3 სართ. დაკრძალვა ყვარელში 14 XII, 9 აპრილის 45, 2 სთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას მარადი ანასაშვილს დეიდის

თამარ მოლაშვილი-ცხადაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მანანა გიორგაძე, შვილები შოთა, თამარ, მედეა გუგუშვილები, და ლიანა, სიძე გელა კაჩუხაშვილი, დისწულები ნუგზარი, შოთა, დეიდაშვილი მედეა მამაცაშვილი, რძალი მარინე შუბლაძე, სიდედრი ანგელინა, სიმამრი გიორგი, ცოლისდა ნანი გიორგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალმასხან შოთას ძე გუგუშვილი.

პანაშვიდი 12, 13 XII, 4 სთ. დაკრძალვა 14 XII, 2 სთ. ქიქოძის ქუჩა, №10.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვისა და ავტომატიზაციის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მართვის პროცესების დარგის აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი

ალმასხან გუგუშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ზურაბ უკლება ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სიძე

ალმასხან გუგუშვილი.

მინდია სალუქვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება კოლეგისა და უახლოესი მეგობრის, ცნობილი მეცნიერის, უსპეტაკესი პიროვნების, პროფესორ

ალმასხან გუგუშვილის

გარდაცვალებას და იზიარებს ოჯახის ტრაგედიას.

შვილები ნანი, ვასილ, ლადო ბრეგაძეები, რძლები გრეტა ნიჟარაძე, ნანა ვაჩეიშვილი, სიძე ირაკლი ჭითანავა, შვილიშვილები გიორგი ბრეგაძე, კოტე, დათო ჭითანავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეკატერინე (კატო) ალანია.

პანაშვიდი 12, 13 XII, 4 სთ. დაკრძალვა 14 XII, 2 სთ. მ. კოსტავას 76, VI სადარბაზო, IV სართული.

ვიქტორია სირაძე, ზინაიდა კვაჭაძე, მარიკა ბარათაშვილი, ბაბულია შელია, ნათელა ვასაძე, ბარბალე გრიგალაშვილი, რუსუდან ჯაფარიძე, მედეა მეზვრიშვილი, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, დალი ბოჯგუა, ბელა მაყაშვილი, მადონა მგელაძე, მარინე ილაშვილი, ქეთევან გაბრუაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი ქალბატონის, ომისა და შრომის ვეტერანის, ღირსების ორდენოსნის

ეკატერინე ალანიას

გარდაცვალების გამო და გულწრფელად თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს.

სიმა ტეპლიცკაია და ნატა ღოლნიკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ოჯახის უახლოესი ნათესავი

დოდო ყვავაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ექიმს ირაკლი სულავას გარდაეცვალა დედა

ლეილა ტყემალაძე-სულავა

და სამძიმარს უხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ქუტირის ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი შალვა მგალობლიშვილი და თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უფროსი ექიმი

პოლინა მიხეილის ასული იოსიძე.

დაკრძალვა 13 XII, 12 სთ, ქ. ქუთაისი, ნიკო ლორთქიფანიძის 19.

მალხაზ სალაყაია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ გურამ მისაბიშვილს დედის

ეთერ ხოშერია-მისაბიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის ახლობლებსა და ნათესავებს.

შპს „საქართველოს ფოსტა" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ექსპლუატაციის დირექტორის მოადგილის ბესარიონ სიჭინავას დედის

ლამარა მიქაბერიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილი დავითი, რძალი მარიამი, შვილიშვილები გიორგი და საბა, მძახლები რაია და როლანდი, და ოლია, სიძე რიჩარდ მდივნიშვილი, დისწულები – ბურდულები, საგანელიძეები და გავაშელები, ძმისწულები ლილი და გიზო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მურმან ექვთიმეს ძე ქარსელაძე.

პანაშვიდი 12, 13 XII 4 სთ. გამოსვენება 14 XII 2 სთ. დიღმის მასივი, III კვარტალი, VII კორპუსი, III სადარბაზო, VI სართული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებენ კოდორის ხეობის რეგიონალური გამგეობის თავმჯდომარეს, რეზო კორძაიას ძმის

თამაზ ვახტანგის ძე კორძაიას

გარდაცვალების გამო.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.